ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
23
მარტი
№ 12 (2740)
გამოცემის
58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესია.

სესიამ განიხილა საკითხები:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე;

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გივი გუმბარიძემ.**

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების რწმუნების ვადა გაგრძელდება.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი).



## დაკარგულის აღსადგენად



ურწმუნოების ქადაგებამ ბევრი რამ დაგვაკარგვინა. რწმენა-შერყეულებს მოყვასისადმი სიყვარულიც გაგვინელდა, გულგრილნი გვაქცია ერთმანეთის გრძნობებისადმი; დაგვავიწყა, რომ ადამიანი ერთი დიდი სამყაროა და ამ სამყაროს ხელყოფის უფლება არავის არა აქვს. სწორედ ამ დაკარგულის აღდგენას ისახავდა მიზნად უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილი ქართველობა. ეს დიდი მისწრაფება მათ სიონში ფიცით განამტკიცეს.

მიხეილ მათველაშვილის ფოტოები

## ვანო ჩხიკვაძე
## ვედრება

როდის გაჩნდება კედელში ბზარი!—
შუბშემართული ქარის წისქვილთან
ვდგავართ.
დიდი ხანია დარეკეს ზარი,
მაგრამ არ ვიძვრით, მალე ბეხრეკი
ეს საუკუნეც გავა.

ო, რამდენ ცოდვას ამკიდებ მერე
თუ ვერ მოგიტან მშვენიერ ყვავილს
მკვდრეთით.
როგორც ნაწამებ ციხის დამცველებს,
გაკიდული მაქვს მარგილზე თავი
შენთვის...

უწყლობისაგან მიშრება ხახა,
ბლიმებიან ჩემი მოსისხლე
ძმები.
ნუ ელოდები უცხო სანახავს,
მიმაქვს ჩხრიალა ჰერბარიუმი
ძვლების.

ოღონდ მესმოდეს შენი ქართული
და არ გხედავდე უცხო თილისმის
მორჩილს.
შეაკოწიწე ერთად მავთულით
ანატომიის გაკვეთილისთვის
ჩონჩხი.
ნუ დამაბრალებ უზრუნველ ყოფას,
ამ ქვეყნად მხოლოდ შენით
ვცოცხლობდი,

მხოლოდ...
მოვედი, გნახე, ვერ გავიმარჯვე,
და მუხლმოყრილმა გამჩენს შევთხოვე
ბოლოს:
ყველა ვერ მივალთ აღთქმულ მიწამდე,
მაგრამ მინდა, რომ გულში იმედი
ენთოს.
გვაკმარე, ჩვენი ცოდვებისათვის
ამოგვენაყა უკვე ცხვირ-პირი,
ღმერთო!

მანიშნე მაინც, როდის დავამსხვრევთ
შენთვის მლოცველი მრევლი მონობის
უღელს...
ერთხელ პირჯვარი რომ გარდაგვსახე
მას შემდეგ იმედს ცრემლით
ჰრილობას
ვუხვევთ.

გვეყოფა! კმარა! თორემ ჯავრისგან
დავბეჩავდით და ლამის გაწყალდა
სისხლი.
მხოლოდ შენ იცი ვინც გადაჯიშდა,
ვინც არ ეწამა, თავს ვერასოდეს
იხსნის...

როდის გაჩნდება კედელში ბზარი —
შუბშემართული ქარის წისქვილთან
ვდგავართ.
დიდი ხანია დარეკეს ზარი,
მაგრამ არ ვიძვრით, მალე ბეხრეკი
ეს საუკუნეც გავა...

ო, მტერმრავალო, ქრება სანთელი,
ამოდის სული, სული სივრცეებს
ერთვის...
იცოდე, გწამდეს სიკვდილის მერეც
დადებული მაქვს ნაჯახქვეშ თავი
შენთვის.

ნუ დამაბრალებ უზრუნველ ყოფას,
ამ ქვეყნად მხოლოდ შენთვის მოვედი
მხოლოდ,
შენი აღდგომის დასაწყისია —
ჩემი ტანჯული წუთისოფლის
ბოლო...

1990

# ჭირის სუფრა... უჭირისუფლოდ?!

## გიორგი მაისურაძე

ამასწინათ შემთხვევით ხელში ჩამივარდა გასული წლის მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომრები ჟურნალისა „დრუჟბა ნაროდოვ".

უნდა გამოგიტყდეთ, ამ ჟურნალის თავგადაკლული მკითხველი არ გახლავართ. ამიტომ, როცა მისი ზემოხსენებული ნომრების ფურცვლას შევუდექი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე: მთელი საბჭოეთი ეთნოკონფლიქტების თუ ეთნოკრიზისების გრიგალს მიაქვს და, ნეტავ, ეს გამოცემა, თავისი დასახელებით და მიმართულებით (ყოველთვიური სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, სსრკ მწერალთა კავშირის ორგანო) ხალხთა მეგობრობას რომ ემსახურება, ამ უბედურებიდან გამოსავალს თუ ეძიებს-მეთქი.

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა პირველსავე ცდაზე კოჭი ალჩუზე დამიჯდა: რუბრიკიდან „ნაცია ი მირ" შევიტყვე, რომ 1989 წლის ივნისის ბოლოს გამართულა ჟურნალის რედაქციასთან შექმნილი ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს პირველი სესია თემაზე „ინტელიგენციის როლი ეროვნებათაშორის კონფლიქტებში".

ცოდვა გამხელილი სჯობს და თემის სათაურმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა: რას ნიშნავს „როლ ინტელიგენციი ვ მეჟნაციონალნიხ კონფლიქტახ"? სემინარის მონაწილეებს ამით იმაზე ხომ არ სურთ მიგვანიშნონ, რომ ინტელიგენცია ეროვნებათაშორის კონფლიქტებში კარგა მნიშვნელოვან როლს ასრულებს-მეთქი? მეტიც, ისიც კი ვიფიქრე: რაკილა თავს ინტელიგენტებად მიიჩნევენ, ნუთუ იმას აღიარებენ, თავადაც არცთუ უცოდველები ვართო? მაგრამ, რადგან საჯაროობის და, აქედან გამომდინარე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დღევანდელი გაქანების პირობებშიც კი ეს დაუჯერებლად მეჩვენა, იქვე მყისვე უკუვაგდე. ეტყობა, სტილისტური კაზუსია-მეთქი, გადავწყვიტე და სესიის მასალების კითხვას შევუდექი.

ნამდვილი კაზუსებისა და გაუგებრობების წყება თურმე წინ მელოდა!

დავიწყოთ იმით, რომ რედაქციასთან არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს თხუთმეტი წევრიდან და სესიაზე მოწვეული ათი კაციდან, ვინაც ზემოხსენებული თემა განიხილა, არცერთი არ გამოდგა ქართველი! ვინმე მიხეილ მჭედლოვი (მჭედლიშვილი?) პირადად მე ქართველთა შორის არ მეგულება.

მერე რა მოხდაო, ეგებ ვინმემ მომიგოს. ამ კითხვას, პირველ რიგში, ალბათ, ჟურნალის რედკოლეგიის რომელიმე წევრის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენლის, საბჭოს მოწვევის ინიციატორის და სესიის ორგანიზატორის, სულისჩამდგმელისა და ჩამტარებლისაგან, ანდა ჟურნალის რედაქტორისაგან, პატივცემულ სერგეი ბარუზდინისაგან უნდა ველოდო. ეგებ, სულაც, ყველამ ერთად მკითხოს — რა მოხდა მერე, დიდი ამბავი, სანამდე უნდა ვეგონოთ ქართველებს, რომ დედამიწა უთქვენოდ ვერ იბრუნებსო?

ქართველი კაცი კი უმალ მიმიხვდება, რა სატკივარიც მტკივა და თუ „დრუჟბა ნაროდოვ"-ის ფურცლებზე გამართულ „დისკუსიას" არაა გაცნობილი, მკითხავს: რა, ისევ ჩვენი ხორცი ჯიჯგნეს, ისევ ჩვენს სულში აფათურეს ხელები, ისევ დაგვისხდნენ მასპინძლებად და მომრიგებელ მოსამართლეებად ჩვენსავე ოჯახშიო?

ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა!

ე. წ. „თურქი მესხების პრობლემა" იყო სესიის მონაწილეების აზრთა გაცვლა-გ მოცვლის ერთი მთავარი საგანი.

არ მკითხოთ, ახლა: რით ვერ გაიგო ამ ხალხმა, მით უმეტეს, თავს ინტელიგენტად თუ არა, საყველპუროდ განათლებულად მაინც რომ მიიჩნევს,—„თურქი მესხი" ისევე არ არსებობს, როგორც „უზბეკი რუსი" ან „ტუნგუსი უკრაინელი"; რომ ყირიმელი თუ ვოლგისპირელი თათარისა არ იყოს, თურქი შეიძლება ტრაპიზონშიც ცხოვრობდეს და, ავბედითი წარსულის წყალობით, ოდინდელ ქართულ მიწაზე — მესხეთშიც. ამიტომ ასეთს მესხეთელი თურქი უნდა ვუწოდოთ, რათა გეოგრაფიული და ეთნიკური ცნებები ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოვაცალკევოთ.

აბა, რა გიპასუხოთ, როცა სესიის მონაწილეთაგან იმათაც კი, ვისაც, როგორც ჩანს, კარგად ესმის ყოველივე ეს და ვინაც „თურქი მესხის" ნაცვლად „მესხეთელ თურქს" ხმარობს სწორად, საჭიროდ არ ჩათვალა კოლეგებისათვის შეცდომაზე მიეთითებინა. არც ვინმეს უკითხავს: ქართველების მონაწილეობის გარეშე ამ საჭირბოროტო საკითხის განხილვა ცოტა უხერხული ხომ არ არისო? იქნებ იმის შიშით, რომ სესიის ორგანიზატორთაგან არავინ მიპასუხოს: უხერხული რა არის, ეგ ჩვენ ვიცითო...

ახლა იმას თუ იკითხავთ, ვინ არიან სესიაზე საჭირბოროტო საკითხთა განმსჯელნი და მოპაექრენი, ვფიქრობ, მკითხველის ცნობისწადილს ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებ, თუ ვიტყვი, რომ ათი მოწვეული კაციდან სამი „თურქი მესხია": აბდულფაზ ბადირ-ოღლი — ფერგანის ოლქის მცხოვრები, ბელგოროდის ოლქში ყოფილა ევაკუირებული; ფუად პეპინოვი — კავშირგაბმულობისა და მართვის სისტემათა ინსტიტუტის თანამშრომ ე ლ ი ბრძანებულა; დაბოლოს, იბრაჰიმ სარვაროვი, „სამშობლოში თურქ მესხთა დაბრუნების დროებითი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი".

ჩემდათავად იმას დავუმატებ მხოლოდ, რომ ჟურნალთან არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს თხუთმეტი წევრიდან, თუ არა ვცდები, ექვსი თუ არა, ხუთი მაინც მაჰმადიანია.

მგონია, სათუო აღარ უნდა იყოს, ქართველები რად ჩაგვთვალეს საბჭოს არასასურველ წევრებად და არც სესიაზე დაგვიძახეს.

ნუთუ სესიის ორგანიზატორებს ჰგონიათ, ვერა ვხვდებოდეთ, რა „მშვენივრადაც"ააწყეს საქმე: ჭირის სუფრაზე ერთი მხარე მიიწვიეს, სევდიანი სადღეგრძელოები ათქმევინეს, მერე მათ თანამოძმეთ სუფრის ქვეშ მალულად ფეხი წაკრეს — „აბა, ჩქარა დასტურიო"; თავად „თანაგრძნობას გადაყვნენ" და მალი-მალ ნიანგის ცრემლების წმენდაში მეორე მხარე „ვერ დაინახეს", „არ გაახსენდათ", „გამორჩათ".

მაინც რა თქვეს „თურქმა მესხებმა"?

იბრაჰიმ სარვაროვი: „ჩემი ხალხი უხსოვარი დროიდან მშვიდობიანად ცხოვრობდა, ხელიხელჩაკიდებული შრომობდა სტუმართმოყვარე ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს სამხრეთ რაიონებში, მესხეთში... ორმოცდახუთი წელი გავიდა, მაგრამ ჩვენ სამშობლო როდი დავივიწყეთ, დაბრუნებაზე ვოცნებობდით, მთავრობისაგან მოვითხოვდით ისტორიულ სამშობლოში დავებრუნებინეთ... ჩვენ გვსურს ჩვენს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება..."

ხედავთ, რატომ არ უნდათ სესიის ორგანიზატორებს, იბრაჰიმ სარვაროვის მომწვევთ, განსჯაგან კითხვაში ქართველის მონაწილეობა? ჯერ ერთი, არაა გამორიცხული იგი იბრაჰიმ სარვაროვს ქეჩოში ხწვდეს და შერისხოს — — უხსოვარ დროს რას უწოდებო? რაკი თურქები მესხეთში სულ ოთხ საუკუნეს ცხოვრობდნენ, მაშინ რომელ „ისტორიულ სამშობლოზეა" ლაპარაკი? როდის იყო ქართველები თურქებს ისტორიულ სამშობლოში, თურქეთში დაბრუნებას უკრძალავდნენ? იმასაც გაახსენებს, როგორ მოხვდნენ თურქები „საქართველოს სამხრეთ რაიონებში, მესხეთში", მერე მორიგ ტყუილში გამოიჭერს და აუდიტორიას, რომელიც 1.135.000 მკითხველისაგან შედგება, მოუთხრობს რა „მშვიდობიანად ცხოვრობდა" და „ხელიხელჩაკიდებული შრომობდა" მესხეთელი თურქი „სტუმართმოყვარე ქართველ ხალხთან" ერთად და, ვინ იცის, კიდევ რას არ იტყვის... ეს კი არც იბრაჰიმ სარვაროვს „აწყობს" და არც მის მასპინძლებს.

ახლა ფუად პეპინოვს მოვუსმინოთ:

„მესხეთელ თურქებს დღეს იმ თურქებს უწოდებენ, საუკუნეების მანძილზე რომ უცხოვრიათ საქართველოს ახალციხის მხარის მკაფიოდ შემოსაზღვრულ ფარგლებში — მესხეთ-ჯავახეთში (ასე აქვს ნათქვამი: „ვ ჩოტკო ოგრანიჩენის პრედელახ ახალციხსკოგო კრაია გრუზიი-მესხეტიი-ჯავახეტიი"-ო. მკითხველს პატიებას ვთხოვ, უკეთესად რომ ვერ ვთარგმნე). მესხეთელი თურქების საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოკვეთილი კულტურული თვითმყოფადობა, ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, რამაც ჩვენს დღეებამდე მოატანა, ოდესღაც სამხრეთ საქართველოს ცხოვრებისა და კულტურის ნაწილს შეადგენდა. მესხეთელი თურქები თავს ქართველი ხალხის ბუნებრივ და სრულფასოვან ნაწილად გრძნობდნენ, მათგან არ განიყოფებოდნენ არც ენობრივი, არც ეკონომიკური, არც ზნეობრივი ბარიერებით. მეჩეთებსა და ეკლესიებს ერთსა და იმავე სოფლებში აშენებდნენ ხოლმე, ერთობლივი ძალისხმევითაც კი. ხალხი ორენოვანი იყო, თავის ისტორიულ და კულტურულ უნიკალურობას გრძნობდა".

მოდი და ამის წამკითხავი, საქმეში ჩაუხედავი მკითხველი გაამტყუნე თუ თავსა და ბოლოს ვერ მიაგნო. იგი რიგიანად იმაშიც ვერ გარკვეულა, ერთი და იმავე ხალხს ხან „თურქ მესხებს" რად უწოდებენ, ხან კი „მესხეთელ თურქებს", რომ სარვაროვი და პეპინოვი მას მორიგ „აბრაკადაბრას" მიახლიან უმოწყალოდ. ზემოთ რომ ბოდიში მომახდევინა, იმ ფუად პეპინოვმა, გგონიათ არ უწყის, როგორ უბნევს გზაკვალს უმეცარ კაცს გეოგრაფიული „ტერმინით" — „საქართველოს ახალციხის მხარის მკაფიოდ შემოსაზღვრული ფარგლები — მესხეთ-ჯავახეთი"? ამას დამატებული, სარვაროვისეული „სამხრეთ საქართველოს რაიონებით— მესხეთით" გაბრუებული, გაუთვითცნობიერებელი მკითხველი საბოლოოდ კარგავს ორიენტაციას დროსა და სივრცეში. მას ჯერ ის ვერ გაუგია, სად იწყება და სად მთავრდება მესხეთი, რომ ახლა იმაზე უნდა იტეხოს თავი, საიდან გაჩნდა ეს ახალი მხარე— ახალციხე, ან ჯავახეთი რაღაა, მის „მკაფიოდ შემოსაზღვრულ ფარგლებში"? როდის მოვიდნენ აქ თურქები? რატომ? განა შემთხვევითია, რომ ამაზე მას არავინ არაფერს ეუბნება?

არანაკლებ დაბნეულია უცოდინარი მკითხველი შემდეგი „გარემოებებით": თუ მესხეთში მცხოვრებ თურქებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოკვეთილი კულტურული თვითმყოფადობა, ერთიანი ეროვნული თვითშეგნება გააჩნდათ, თანაც თავის ისტორიულ და კულტურულ უნიკალურობასაც „გრძნობდნენ", ამასთან ერთად, როგორღა „გრძნობდნენ" თავს ქართველების განუყოფელ და სრულუფლებიან ნაწილად, როგორ ახერხებდნენ, რომ მათგან არ განირჩეოდნენ არც ენით, არც ეკონომიკით და არც ზნეობით? და, რაკი ამ აბსურდში გარკვევა არ ძალუძს, რადგან ალოგიკურობის ამ ლაბირინთებიდან თავი ვერ დაუღწევია, იგი ხალისით იჯერებს, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაშინ რა, ანდა ვინ არის, თავის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ და ეთნოსოციალურ გარემოში ჩაგრული ხალხის დაბრუნებას წინ რომ აღდგომიაო, განრისხებით კითხულობს „დრუჟბა ნაროდოვ"-ის 1.135.000 მკითხველთაგან სულ მცირე ნახევარი მაინც.

ამაზე ფუად პეპინოვს მზამზარეული პასუხი აქვს: თურმე ნუ იტყვით და, ასეთ ძალას წარმოადგენს... ქართული ინტელიგენცია! „ეს ინტელიგენტები", როგორც წესი, არად დაგიდევენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მაინც და მაინც არც მათი დეკლარირებით იწუხებენ თავს. მათი მოღვაწეობის თვალსაჩინო შედეგია — ეროვნებათაშორ ი ს ურთიერთმტრობის ზრდა. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ მშობლიურ მხარეში არალეგალურად შეღწეულ თურქ მესხებს ქართველები თანაგრძნობითა და სიყვარულით მიიღებდნენ ხოლმე. ახლა როგორღაა?!"

თუ რა ბრალდებებს უყენებს დამატებით ფუად-ალა ქართველ ინტელიგენტებს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი სამართლიანობა მოითხოვს და იმას ვიტყვით, რომ მას და ჭირის სუფრაზე მის დამპატიჟებლებს ტყუილად როდი ეშინიათ ნამდვილი ჭირისუფლების გამოჩენისა. ქართველი ინტელიგენტი, მით უმეტეს, თუ მის „სისასტიკეს" და „დაუნდობლობას" გავითვალისწინებთ, აილებს და მესხეთელი თურქების წინამძღოლების ჭეშმარიტ ზრახვებს ამხელს, ფარდას ახდის მესხეთის მიწაზე თურქების ავტონომიის შექმნის სარვაროვ-პეპინოვისეულ პროგრამას და მაშინ ქართველებთან ენობრივი, ეკონომიკური და ზნეობრივი იდენტურობის ლეგენდა საპნის ბუშტივით გასკდება. ქართველი ინტელიგენტი საზოგადოდ ისეთი აზირებული ვინმეა, ნათელს მოჰფენს, როგორ ინერგებოდა მესხეთში „ორენოვნება" და ვის უხდებოდა ჯერ ორ ენაზე ლაპარაკი, შემდეგ კი მშობლიურის გადავიწყება. იმასაც მოითხოვს: კეთილი ინებეთ, და ერთი მიბრძანეთ, რომელი ჩვენი ეკლესიის მშენებლობაში გაგვიმართეთ ხელი, ანდა წელი მოიწყვიტეთ? მაშინ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭო და მათი თურქი სტუმრები [illegible] ამიტომ სესიის სხდომათა დარბაზის კარი საიმედოდაა ჩარაზული, ემანდ ქართველებმა არ შემოგვიმტვრიონო.

ახლა ამ საკითხზე ლაპარაკი დროებით მივატოვოთ და ფუად პეპინოვის ბრალდებებს მივუბრუნდეთ.

„სამწუხაროდ, ინტელიგენციის ამ ნაწილის ერთი საყვარელი გასართობთაგანია ყველაზე ვულგარული ყაიდის მითოსების შეთხზვა. სიუჟეტი, მხოლოდ და მხოლოდ მულტფილმის სცენარისათვის რომაა გამოსადეგი, უცილობელ ისტორიულ ფაქტად მიიღება. მასების შეგნებაში ინერგება გაუბრალოებული, ვულგარული მოდელები. წარმოიშობა ქვეყანათა, ერთა, ეპოქათა ქიმერული ხატები".

რაო, რაო, რასა ბრძანებსო? — იკითხავთ, ალბათ.

მოთმინება იქონიეთ! ზემოთ ხომ მოგახსენეთ, „ჩაგრულების" ზარს რომ ზანი მისცენ, ამისათვის სესიის მომწვევ-ჩამტარებლებს ეროვნებათაშორის ურთიერთობების (საბჭოს წევრებიდან მათივე თვისტომნი და თანამორწმუნენი ჰყავთ გამეცადინებული-მეთქი. ჰოდა, ახლა მათ ნათქვამს ერთად გავადევნოთ თვალყური და ყველაფერი ცხადი შეიქმნება.

აიდერ ქურქჩი: „... მე სამშობლოში დაბრუნებისათვის ყირიმელ თათართა მოძრაობაში ვმონაწილეობ და რეალურად ვიცი, რაოდენ ძნელია დაუპირისპირდე ეროვნულად აღგზნებული მხახურეული ინტელიგენციის, განსაკუთრებით მწერლების განწყობილებებს, რომელნიც იმას ცდილობენ, რათა „საკუთარი ხალხის" ამ ქვეყნად მოვლინებას დაბადება ლამის პალეოლითიდან მისცენ. ასე, ამჟამინდელი თურქული ინტელიგენცია (ავიღოთ მეზობლები) თურქული ერის მატიანეს მოითვლის ჩათალ-ჰოუიკიდან, ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII ათასწლეულის ხეთებამ დ ე ლ ი მკვიდრი წარმონაქმნიდან. კავკასიის ჩვენებურ რესპუბლიკებში ინტელიგენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოხწავლეთა დამოძღვრაში ისტორიული სამშობლოს სიღრმის შესახებ, როცა თავიანთი ხალხები შუმერებიდან გამოჰყავთ და მიდიის, ურარტუსა თუ ასურეთის დრო-ჟამამდე აჰყავთ. თუმცა, ამის მსგავსად იქცევიან ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების და სხვა-ის ყველა ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც."

ჰასან ჰუსეინოვი: „ეროვნულ მოძრაობათა ერთ ფანტომურ მიზანთაგან მესახება ასეთად წოდებული ეროვნული კულტურა. და აქ საკმარისი იქნებოდა მეთქვა, რომ კულტურა არ შეიძლება ვინმეს საკუთრება იყოს, იმიტომ რომ იგი პროცესია, და არა მარტო შედეგი... კიდევ უფრო მეტად საკითხის აგრერიგად დასმის აბსურდულობა მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ეროვნული მოძრაობები ცდილობენ „მამათა მრწამსზე" განსაკუთრებული ეთნიკური უფლებები დაგვისაბუთონ... ეროვნული იდეა ასეულ ათასობით ადამიანს აიძულებს სწორედ ამ აზრს მოკლებულ საქმეს მიჰყონ ხელი: „ჩვენ აქ ჯერ კიდევ IV საუკუნეში მოვედით, როდესაც აქ თქვენი ხსხენებელიც არ იყოო". გონივრული დასაბუთება ისეთ ადამიანთან კამათში, თავის შორეულ წინაპრებთან რომ გაუიგივებია თავი, საეჭვოა, ნაყოფიერი იყოს: დღენიადაგ წაჩხუბებით, ძმა ძმასაც კი რომ ედავება უფლებას საერთო მამის შვილად იწოდებოდეს".

ისევ ჰასან ჰუსეინოვი: „...ინტელიგენცია ერთთავად ყელს იწმენდს, რათა სახალხო ქორის ხმაააყოლოს. ამ ტრადიციის დარღვევაც მოგვიწევს. თანაც უმრავლესობიდან კი არა, უმცირესობიდან უნდა დავიწყოთ. ეს ერთადერთი პირობაა, რომლის არ[illegible]ბობის დროსაც, უმრავლესობა ადამიანურ იერსახეს ინარჩუნებს. იმისათვის, რათა ეს იერსახე დაიკარგოს, სულ ცოტა რამაა საჭირო: მაგალითად, ამისათვის, საქართველოში საკმარისია თურქი მესხებისათვის ადგილი არ გამოინახოს..."

არც მიხეილ მჭედლოვი გვინდობს (ნეტავ ის მაცოდინა, რა ჯიშისა და რჯულისაა ეს კაცი, თორემ იმას კი კარგად ვხვდები, ვისი წისქვილის ღარზეც აქვს წყალი მიშვებული და რატომ): „... ინტელიგენციის როლი იმაშია, რომ იგი იდეოლოგიურად აფორმებს რეალურად არსებულ წინააღმდეგობებს, ამასთან, არცთუ იშვიათად იგი, როგორც აქ სამართლიანად ითქვა, მითოსებს ქმნის. ამას ხელს უწყობს ინტელიგენციის თავისებურებები: იგი ცოდნასაა დაუფლებული, მას შეუძლია ერთმანეთს შეუპირისპიროს ისტორიის სხვადასხვა პერიოდები, მოიყვანოს საბუთები ამ მითოსების სასარგებლოდ... დიდად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ... ინტელიგენცია... დინამიური ძალაა, როგორც ჭეშმარიტი, ისე მოჩვენებითი ეროვნული ინტერესების იდეოლოგიური გაფორმებისას... მას ძალუძს ამ იდეების ფართო პროპაგანდა გაწიოს თავისი ინტერპრეტაციით“.

აი, თურმე, რაშია საქმე!

როგორცა ჩანს, იბრაჰიმ სარვაროვს და ფუად პეპინოვს არასრულფასოვნების კომპლექსი ქენჯნის. ვინ ვინ და თავად ხომ კარგად უწყიან, რა „უხსოვარი დროიდანაც“ მოსახლეობდნენ თურქები მესხეთში. მაგრამ, „ობიექტურობისათვის“ სხვისი პირით უბნობენ — კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მიწაზე ვინ როდის მოვიდა, თორემ თუ მაგაზე მიდგა საქმე, ჩვენ პროტოხეთებიდან ვიღებთ დასაბამს და თხა, თხაზე ნაკლები, მგელსაც შეუჭამიაო. თუ ეს ფანდი არ გაუვიდათ და კუდზე ტაცეთ ხელი, —რომელ ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII ათასწლეულზე ლაპარაკობთ, თურქები მცირე აზიაში პირველად ხომ XI საუკუნეში გამოჩნდნენო, სარვაროვ-პეპინოვი ქურქჩისთან გაგზავნიან — ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ხომ არაფერი გვითქვამსო; ეს უკანასკნელი თურქი მეცნიერებისაკენ გაიშვერს ხელს: განა მე ვამბობ, ეგენი ამბობენო; თანაც დაგტუქსავთ — არ გრცხვენიათ, „კავკასიის ჩვენეული რესპუბლიკების ეროვნულად აღგზნებულო ინტელიგენტებო“, პალეოლითში რომ მიძვრებით და ქვის ხანის ადამიანში ეძებთ წინაპარსო?! მერე, ძალიან შერისხული რომ არ დაურჩეთ, თავზე ხელს გადაგისვამთ — რაც არის, არის, შემინდვია, ამით მარტო თქვენ როდი ცოდავთო.

თუ მოფერებამ არ გაჭრა და „კავკასიის ჩვენეული რესპუბლიკების ეროვნულად აღგზნებულმა ინტელიგენტმა“ მაინც თქვენი დაიჟინეთ, ყველანი ერთად საქვეყნოდ გამოგაჭენებენ — არ დაუჯეროთ, ეგენი ისე არიან გავარჯიშებული მითოსების შეთხზვაში და ისტორიული ფაქტების ჟონგლირებაში, ტყუილს მართლად როგორც უნდათ ისე აფორმებენ, ამირანის მემკვიდრეებად რომ თავი მოაქვთ, სინამდვილეში მანდ IV საუკუნეში არიან მისულებიო. თუ მაგრად დადექით, სიტყვას ასე მოგინაცვლებენ: წადით და რა შვილებიც ბრძანდებით, თქვენს მჭედლიშვილს ჰკითხეთო. თუ დაჭირდათ, მჭედლიშვილადაც გაასაღებენ, ისე, ჯერხანობით, ვიღაც მჭედლოვია მხოლოდ.

„აბსურდულობის“ მიუხედავად, თქვენი თუ არ დაიშალეთ და ძირძველი კულტურის მოხმობით „მამათა მრწამსზე განსაკუთრებული ეთნიკური უფლებები“ დაასაბუთეთ, გამოვა ვიღაც ჰუსეინოვი და გეტყვით: ეგ თქვენი ე. წ. ეროვნული კულტურა მარტო თქვენი საკუთრება ნუ გგონიათო (ხომ გახსოვთ პეპინოვისეული — ოდესღაც სამხრეთ საქართველოს ცხოვრებისა და კულტურის ნაწილს შევადგენდითო). მესხეთელი თურქების თავკაცთა მადა რომ გაამართლოს, ასე დაგმოძღვრავთ: თქვე კაი ხალხო, რაღა მაგათი გაგკვირვებიათ, მთელს დუნიაზე ძმა ძმას არ ინდობს და მამას შვილი ხელში არ აყავსო. თუ არც ეს დაიჯერეთ, მაშინ სრულიად საწინააღმდეგოს მტკიცებას მოყვება: რა გახდა ასეთი ერთი გოჯი მიწა, ბედკრული ხალხისათვის რომ გენანებათ. რას დამგვანებიხართ, ადამიანური იერსახე დაგიკარგავთო.

როგორია, ჰა? ასე იცის განუკითხაობამ. უქართველობით გალაღებულ სარვაროვ-პეპინოვ-ქურქჩი-ჰუსეინოვ-მჭედლოვს დარჩენიათ ბურთი და მოედანი და ერთმანეთს მალი-მალ შესძახებენ: მიდი, მოვდივართო. რა ენაღვლებათ, გასდით და!

ჯერ სადა ხართ... ადგა და გამოვიდა სესიაზე მოწვეული ამხანაგი, ვინმე იაკობ ეტინგერი, საზოგადოება „მემორიალის“ წარმომადგენელი და განაცხადა, რომ „ამ დღეებში“ „მემორიალმა“ წამოაყენა წინადადება შეიქმნას მესხეთელ თურქთა პრობლემის სამართლიანად გადაჭრის ხელშემწყობი საზოგადოებრივი კომიტეტი. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა გარდაქმნის მხარდამჭერის მწერალთა კომიტეტმა („აპრელი“), „მოსკოვსკაია ტრიბუნამ“, მოსკოვის სახალხო ფრონტმა, კლუბმა „დემოკრატიჩესკაია პერესტროიკა“ და რიგმა სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა“.

კიდევ ის უნდა მოგახსენოთ,— ბრძანა პატივცემულმა იაკობ ეტინგერმა, — რომ „მემორიალის“ დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელიც 1989 წლის 29-30 იანვარს გაიმართა, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის ერთი მუხლი გვაუწყებს, რომ საზოგადოება „მემორიალი“ გამოდის იმისათვის, რათა დეპორტირებული ხალხები თავის ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენ... კერძოდ, მესხეთელი თურქები... და ზოგიერთი სხვა ეთნიკური ჯგუფები... სტალინური რეპრესიების კოლექტიური მსხვერპლი რომ შეიქმნენ“.

უფრო მეტიცო, განაგრძობს ბატონი იაკობი, უზბეკეთში ტრაგიკულ მოვლენებამდე გაცილებით ადრე საზოგადოება „მემორიალის“ გამგეობის ფარგლებში შეიქმნა მუშა ჯგუფი მესხეთელ თურქთა პრობლემებთან დაკავშირებითო. ჯგუფი მასალების შეგროვებას შეუდგა და უკვე 1988 წლის დასაწყისში, თუმცა მოსკოვში ვიმყოფებოდით და არა ტაშკენტში, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ უზბეკეთში რთული და სახიფათო სიტუაცია იქმნებოდაო.

და, კიდევ: „პრავდა“ არაერთგზის წერდა, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა იცოდნენ მოსალოდნელი ტრაგიკული მოვლენების თაობაზე, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და სხვა ინსტანციები ატყობინებდნენ მათ უზბეკეთში სიტუაციის გაუარესების შესახებ. დაძაბულობა უზბეკეთში გაზაფხულიდან მოყოლებული იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, არავითარი ზომები არ „მიიღეს“-ო, ჩივის ბატონი იაკობ ეტინგერი.

ნაღდად ვიცი, ყოველივე ამის წამკითხველს კითხვების მთელი წყება წამოგეჭრებოდათ.

პირველ რიგში, ალბათ, იმას იკითხავთ: ამ დალოცვილ „მემორიალს“ „თავისი გამგეობის ფარგლებში“ მესხეთელი თურქების პრობლემასთან დაკავშირებით ჯგუფი ჯერ კიდევ 1988 წლის (?!) დასაწყისში რომ შეუქმნია და მასალების შეგროვებისათვის მიუყვია ხელი, 1989 წლის მაისამდე, ანუ ამ პრობლემის „სამართლიანად“ გადაჭრისათვის საზოგადოებრივი კომიტეტის შექმნამდე და მის შემადგენლობაში მილეთის ხალხის თავშეყრამდე ჩვენსკენ ნუთუ ერთხელ მაინც არ გამოუხედიაო?

რას ბრძანებთ! დაგავიწყდათ, რისთვის შეიქმნა საზოგადოება „მემორიალი“? შეგახსენებთ: ოცდაათიანი წლების რეპრესიების „კოლექტიურ“ (დავამატებდი — ინდივიდუალურ) მსხვერპლთა წარმოჩინება-რეაბილიტაციისათვის. ვინ იყვნენ რეპრესიების შემოქმედნი? სტალინი და ბერია. სადაურები იყვნენ სტალინი და ბერია? ქართველები. საიდან გაასახლეს მესხეთელი თურქები? საქართველოდან. ვინ არის „ისტორიულ სამშობლოში“, საქართველოში, მესხეთელი თურქების დაბრუნების წინააღმდეგი? ქართველები. გასაგებია?

თქვენც იტყვით ხოლმე, რა! ლამის არის, საზოგადოება „მემორიალის“ მუშა ჯგუფში და სამართლიანობის აღმდგენ კომიტეტში ქართველების შეყვანა მოითხოვოთ! „რომ მოდგნენ ეს ქართველები (განსაკუთრებით ისტორიული ფაქტების დამახინჯებაში გაწაფული „მსახურეული“ ინტელიგენტები თუ არიან) და ქვა ქვაზე დაადუღონ — „მემორიალით“ დაწყებული სუკ-ით და პარტიული ორგანოებით დამთავრებული ყველამ თუ იცოდა, მესხეთელი თურქების თავზე რა მეხიც უნდა გავარდნილიყო, რატომ არაფერი იღონეთო, რა უპასუხონ?

მერე ეს აბეზარი ქართველი ინტელიგენტები მაინც და მაინც იმას ჩაეძიებიან, იმ რესპუბლიკის „ხელმძღვანელი“, სადაც ეს უბედურება დატრიალდა, გაურკვეველი მიზეზების გამო გასაოცარ უდარდელობას რატომ იჩენდა, საქმის კეთების მაგივრად სენდროს ვით შეექცეოდა; ამასაც არ იკმარებენ და იმის ძიებას შეუდგებიან, რა სდის შესაძლებელს, რომ ასეთ კაცს სამაგალითოდ დასჯის მაგივრად პატივს მიაგებენ და მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედი რომ უპირავს, იმ ქვეყნის პარლამენტის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ „ირჩევენ“; გაქექავენ, გაჭექავენ და გამოდგება, რომ... ერთი სიტყვით, დაანებეთ თავი „მემორიალს“, თუ ღმერთი გწამთ!

შეამჩნევდით: თავად მესხეთელი თურქები სესიაზე მხოლოდ ბრალდებებს სჯერდებიან, კონკრეტულად არც რაიმე წინადადება აქვთ, არც რაიმეს ითხოვენ— აქაოდა, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი, რასაც გადაწყვეტთ, ყაბულსა ვართო.

ეტინგერის ნათქვამი ხომ გახსოვთ — მოსკოვში უკეთ ვიცოდით, ტაშკენტში რაც ხდებოდაო (მე თუ ვინმე მკითხავს, მოსკოვში ყოველთვის ყველაფერი ყველაზე უკეთ რომ „იციან“, იმიტომაც არის ჩვენი საქმე კარგად).

ჰოდა, „დრუჟბა ნაროდოვის“ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს წევრები წყვეტენ ჩვენს ბედს მოსკოვში... უჩვენოდ.

ემანუელ პაინი: „თუ პირადი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ვიხელმძღვანელებთ (იმდენად, რამდენადაც ეს სსრკ-ში თანამედროვე ერთაშორის პრობლემებს შეიძლება მივუსადაგოთ), ნებისმიერი ეროვნული უმრავლესობის წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას... იმ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, ვინც (მათი) რესპუბლიკებიდან არის განდევნილი“.

(„იზვესტია“, № 52, 21.02.90; „მესხეთელი თურქების პრეს-კონფერენცია“: „მოსკოვში მესხეთელმა თურქებმა პრეს-კონფერენცია ჩაატარეს საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის... სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თურქი-მესხების პრობლემების კომისიის მუშა ჯგუფის წევრი ე. პაინი დარწმუნებულია, რომ ერთადერთი ადგილი საბჭოთა კავშირში, სადაც თურქ-მესხებს ცხოვრება შეუძლიათ, მათი ისტორიული სამშობლოა“).

ჰასან ჰასანოვი: „არის თუ არა გამოსავალი ჩვენი კონკრეტული სიტუაციიდან?... ვფიქრობ, რომ... მცირერიცხოვანი ხალხებით კომპაქტურად დასახლებული რაც უფრო მეტი ავტონომია და ოლქი მიიღებს იმავე უფლებათა პაკეტს, რასაც ამჟამინდელი მოკავშირე რესპუბლიკები ფლობენ, მით უფრო საშური გახდება სახელმწიფო ყოველდღიურობიდან ეთნიკური მომენტის გამორიცხვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

ერიჰაა!... ხედავთ, საით გაუტიეს? აქეთ პატივცემული პაინი „ნამუსზე გვაგდებს“ — ვიდრე ერთი ქართველი განდევნილი მესხეთელი თურქების მიმართ პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამ ხალხს თავისი ისტორიული სამშობლოს გარდა არსად ეცხოვრებაო; იქეთ ჩვენი ძველი ნაცნობი ჰასანოვი დაასკვნის: გამოსავალი თუ გინდათ, ეს არის— ეროვნული უმცირესობით კომპაქტურად დასახლებული რაც უფრო მეტი ავტონომია გვექნება, მით ადრე გვეშველებაო.

მოკლედ, პაინმა მესხეთელი თურქები „ისტორიულ სამშობლოში“ ჩამოასახლა, ჰასანოვმა კომპაქტურად დაასახლა და ავტონომია მიანიჭა... იმაზე რატომღაც არაფერს ამბობენ, რომ მესხეთელ თურქებს კომპაქტურად დასახლება მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის საზღვარზე სურთ, რომ ავტონომიას მეჩეთების შენება უნდა მოჰყვეს, პარალელურად კი თურქული სკოლები უნდა გაიხსნას; ჰოდა, ფეხს რომ კარგად მოიმაგრებენ, ერთ მშვენიერ დღეს ადგებიან და მოითხოვენ: ახლა კეთილი ინებეთ და სსრ კავშირის ავტონომია თურქეთის ვილაიეთად შეგვიცვალეთო. სჩანს, ჯერხანობით არაა ამაზე ლაპარაკი საჭირო, თორემ ისე სესიაზე ყველაფერი წინასწარ შეთხზული სცენარის შესაბამისად ვითარდება და ქართველი კაცი, გინდ ინტელიგენტი იყოს და გინდ არა, ვის რაში სჭირია... ხომ შეიძლება, სხვა თუ არაფერი, ვისაც ჯერ არს, პასუხი მოთხოვოს: „მესხეთელი თურქი“ „თურქ მესხში“ იმიტომ ხომ არ „გეშლებათ“ ხოლმე, რომ როცა დაგჭირდებათ, ამტკიცოთ — თუმცა თურქობას არ ვიშლით, მაგრამ ერთდროულად მესხები, ე. ი. ქართველები ვართ და ვის რა უფლება აქვს სამშობლოში დაბრუნება აგვიკრძალოსო.

ახლა, ბოლოს და ბოლოს, ქართველებსაც მოვუსმინოთ:

აი, რა წერია საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციაში: „დიდი უსამართლობაა 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან მთელი მაჰმადიანი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი აზრის, რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის დამოკიდებულების გაუთვალისწინებლობაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ მძიმე დემოგრაფიული ვითარებაც, სვანეთისა და აჭარის დამეწყრილი ზონებიდან სტიქიური უბედურებით დაზარალებული ათასობით ოჯახის სასწრაფოდ გადმოსახლების აუცილებლობა და, რაც მთავარია, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მძაფრი გამწვავების რეალური საფრთხე. ამ ობიექტური რეალობებიდან გამომდინარე, პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ იმ გასახლებული მესხების ეტაპობრივი დაბრუნება და რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე განსახლება, რომელთაც არ დაუკარგავთ ქართული ეროვნული ცნობიერება“. („კომუნისტი“, № 44, 20.02.90.).

უნდა ამას რაიმეს დამატება? მგონია, რომ არა. ერთს ვიტყვი მხოლოდ: „უფროსი ძმა“ თუ დაგვაცდის, ჩვენ და გამაჰმადიანებული მესხები როგორმე გამოვნახავთ საერთო ენას. რაც თურქებს შეეხება, ნეტავ ვინაა მათი ისტორიულ სამშობლოში, თურქეთში დაბრუნების წინააღმდეგი? ოღონდ ქართულ მიწას ვერვის გავატანთ.

დაბოლოს, თქვენის ნებართვით, მინდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარ რედაქტორს სერგეი ბარუზდინს მივმართო ერთი შეკითხვით.

ბატონო სერგეი!

უთუოდ გაეცნობოდით თქვენს ჟურნალთან არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს პირველ სესიაზე ოლაფ უტტის გამოსვლას — „მტრების“, ძმებისა და მეგობრების თაობაზე“ (სხვა თუ არაფერი, იგი სტენოგრამაში სესიაზე თქვენი გამოსვლის ტექსტის წინაა დაბეჭდილი). ალბათ გახსოვთ მისი ნათქვამი: „...ველიკოდერჟავულ აზროვნებას და მესიანურ განწყობილებებს მეტად ღრმა, მრავალსაუკუნოვანი ფესვები აქვს, იგი უხვადაა მორწყულ-დაპურებული ჩვენი პროპაგანდით, რომელიც, არსებითად, ინტერნაციონალიზმს კოსმოპოლიტიზმთან აიგივებს და ხელმძღვანელობს სტალინური კონცეფციით „ყველაზე გამორჩენილი ერის“ შესახებ“.

არაფერს გეუბნებათ ეს სიტყვები? და, თუკი აქ გაუგებარი არაფერია, მაშინ როგორღა მოგივიდათ, რომ პირის სუფრა გამართეთ და ჩვენი, ნამდვილი პირისუფლების, დაძახება „გადაგავიწყდათ“? განა არ უწყით, რა ამბებსაც მოჰყვა და პირველ ყოვლისა ვის წინააღმდეგ იყო მოწყობილი ფერღანის ტრაგედია, საბოლოო ჯამში ორიოდე ცხვირმოუხოცავ ლაწირაკს რომ გადააბრალეს? „უფროსი ძმის“ უფლებით სარგებლობთ?

„ინტელიგენციის როლი ერთაშორის კონფლიქტებში?“ — დიახაც! პირადად ჩემთვის სულერთია, ორლესურ ხელბარს გამოურიან გულში თუ კალამს, გაზით მომწამლავენ თუ მელნით.

P.S. ამ წერილის რუსულ თარგმანს უახლოეს ხანში ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქციას გავუგზავნი. იმავდროულად „ლიტერატურნაია გრუზიას“-აც მივაწვდი. ვაითუ, მოსკოვში გაგზავნილი წერილი გზაში დაიკარგოს...



ანანური. სერგო თევზაძის ფოტო.

# ისტორიული პარადიგმები

ნაწყვეტები წერილიდან

## თედო ისაკაძე

მცენარეული სამყაროს კვლევისას გოეთე მივიდა დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც ცოცხალი ორგანიზმის მთავარ მამოძრავებელ იმპულსად ძალთა პოლარიზაცია იყო აღიარებული. მართალია, ეს აღმოჩენა მცენარეებზე დაკვირვების შედეგად გაკეთდა, მაგრამ დიდი მოაზროვნე იქვე შენიშნავდა, რომ იგივე ფორმულა წარმატებით შეიძლება გავრცელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე და თვით კაცობრიობის ისტორიაზეც კი.

უძველეს წერილობით ძეგლებში აღწერილია ორი ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული მიმდინარეობა იუდაისტური რელიგიისა, უფრო სწორად, ორი განსხვავებული რელიგიურ-ზნეობრივი კოდექსი — ნაზორეველებისა და ქარახაველებისა (კარახიტები, კორაის შვილები). ეს ორი გზა, სამყაროს შეცნობისა, საუკუნეთა მანძილზე თანაარსებობდა და თავისი მიმდევრებიც ჰყავდა უამრავი სექტის სახით. მაგალითად, ნაზორეველთა შტოს წარმომადგენელთაგან გამოირჩეოდნენ იესეველები (ესეები), ებვიპტილი იუდაველების სექტა — თერაპევტები და სხვ, ხოლო ქარახას სწავლების პოპულარიზატორთაგან — ახალი აღთქმიდან ჩვენთვის კარგად ცნობილი ფარისეველების სექტა.

ფილონ ალექსანდრიელი, ეხება რა ერთ-ერთი ნაზორეველური მსოფლმხედველობის სექტის, იესეველების ცხოვრებას, წერს: „არც ერთ მათგანს არა აქვს რაიმე საკუთარი, არც სახლი, არც მიწა, არც მონა, არც ჯოგი, საერთოდ არაფერი, რასაც მოაქვს სიმდიდრე. მათ, განურჩევლად ყველამ, შეაერთეს თავიანთი საქონელი და სარგებლობენ ამ საერთო საკუთრებით. ფულს, რომელსაც ისინი შოულობენ სხვადასხვა სამუშაოზე, აგროვებენ და აძლევენ მამასახლისს, რომელიც ყიდულობს მათთვის ყოველივეს საჭიროს სიცოცხლისათვის“.

ფილონ ალექსანდრიელი აღნიშნავს: „არათუ საკვები, არამედ სამოსიც საერთო ჰქონდათ, საზამთროდ იცვამდნენ უხეშ ქურქს, საზაფხულოდ მსუბუქ მოსასხამს. ყველას შეეძლო ესარგებლა ამ სამოსით როცა სურდა, რადგან რაც ეკუთვნოდა ერთს, იყო ყველას საკუთრება, ხოლო რაც ჰქონდა ყველას, ჰქონდა თვითოეულ მათგანსაც“.

მეორე, ნაზორეველებისაგან განსხვავებული მიმდინარეობის — ქარახაველების მსოფლმხედველობა სულ სხვა პრინციპებზე იყო დაფუძნებული, მართალია, მათთვის, ისევე როგორც ნაზორეველებისათვის, რელიგიური ასკეტიზმი იყო დამახასიათებელი, მაგრამ ეს ასკეტიზმი საკუთრებაზე უარის თქმაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ მარტომყოფლობაში, მეუდაბნოებაში. ამიტომ უწოდებდნენ ისინი საკუთარ თავს „ქარახას უდაბნოს შვილებს“, ეს ის რელიგიური მსოფლმხედველობა იყო, რომელმაც განდეგილობის ინსტიტუტს დაუდო საფუძველი.

ქარახაველები თავიდან მეტერიებად, ჯგუფებად ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს იყო ერთგვარი მომზადების ეტაპი, რადგან დგებოდა ჟამი, როდესაც ყოველ მათგანს უნდა მიეტოვებინა სახლი, სადმე მივარდნილ, უკაცრიელ ადგილზე მოეძებნა სადგომი და იქ ულად დაყუდებულიყო. თუმცა, შეეძლო ეს არ გაეკეთებინა (ემილ ბოკი, „მოსე და მისი ეპოქა“).

ცხოვრების ასეთი წესი ქარახაველებს საშუალებას აძლევდა ჩამოყალიბებულიყვნენ ინდივიდებად, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო „კოლექტიური ინდივიდის“ ტიპთან, რადგან, მართალია, მწირი, მაგრამ გარკვეული საკუთრების მქონენი იყვნენ და ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთსაც ფლობდნენ.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განსხვავება ნაზორეველებსა და ქარახაველებს შორის გარეგნული ნიშნებითაც ხასიათდებოდა. ნაზორეველებს ეკრძალებოდათ თმისა და წვერის შეკვეცა, ხოლო ქარახაველები პირიქით — პირწმინდად გადაპარსული თავითა და წვერისაგან მოშიშვლებული პირისახით გამოირჩეოდნენ. თავად სიტყვა „ქორახ“ მელოტს ნიშნავს ძველ ებრაულ ენაზე.

ეს გარეგნული ნიშნები იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ამ მიმდინარეობათა გარკვეული მოდიფიკაციისა, ისინი მაინც შენარჩუნებულ იქნა.

მოგვიანებით, ქრისტიანობის გავრცელების ხანაში, ახალმა რელიგიამ ორივე მიმდინარეობა შეითვისა — ქარახაველურიც და ნაზორეველურიც. ნაზორეველებისაგან ქრისტიანებმა ისესხეს მონაზვნური (ბერული) ცხოვრების წესი, რომელსაც ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ქრისტიან საეკლესიო მოღვაწეთა შორის. ხოლო ქრისტიანული მრწამსისათვის ასევე ტრადიციული განდეგილობის (მარტომყოფლობის, მეუდაბნეობის) ინსტიტუტი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ქარახაველური კოდექსის გაგრძელება.

მაგრამ ანტაგონიზმი ამ ორ მიმდინარეობას შორის იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან ქრისტიანული რელიგიის ფარგლებშიც იჩინა თავი და, როგორც ჩანს, საფუძველი დაუდო მის განხეთქილებასაც.

ისტორია ცხადყოფს, რომ ნაზორეველური და ქარახაველური მიმდინარეობების ურთიერთშეუთავსებლობამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქრისტიანული რელიგიის განხეთქილებაში. ამ გათიშვის პირველი თვალნათელი გამოვლინება იყო რომის იმპერიის საბოლოო დაშლა 395 წელს, დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) სამეფოებად. ხოლო ამ ფაქტმა, თავის მხრივ დასაბამი დაუდო მოგვიანებით კათოლიკური და მართლმადიდებლური მრწამსის ჩამოყალიბებას. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის კათოლიკური ეკლესია განვითარების ქარახაველურ გზას დაადგა, ხოლო აღმოსავლეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ რელიგიურ კანონად ნაზორეველური ტრადიციები აირჩია.

დროთა განმავლობაში მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური განსხვავება ნაზორეველურ და ქარახაველურ მიმდინარეობებს შორის გაფერმკრთალდა. შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში უკვე ძნელად თუ მოძებნით მათ კვალს. არც კათოლიციზმში მჟღავნდება ის ფაქტი, რომ სწორედ ქარახაველებს უნდა უმადლოდნენ თავის წარმოშობას და არც მართლმადიდებლურ ეკლესიას ეტყობა ნაზორეველური იდეოლოგიის ნიშან-წყალი. სამყაროს განსხვავებულად აღქმის სტერეოტიპი ახლა ქრისტიანული დოგმატების დიფერენცირებულ ინტერპრეტაციაში გადაიზარდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გარეგნული ნიშნები აქაც მყარი გამოდგა და კვლავ იჩინა თავი: მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავარნი, ნაზორეველების მსგავსად, ახლაც არ იკვეცენ წვერს და თმას, ხოლო კათოლიკე პასტორებისათვის ახლაც აუცილებელია ე. წ. ტონზურის ტარება — თავის კინკრიხო გადაპარსული აქვთ, რაც აშკარად ქარახაველური ტრადიციების გადმონაშთია...

მაგრამ არც ბიზანტიას, არც რომს არ ეწერათ ბოლომდე გაეწიათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფორპოსტების მისია. დადგა დრო და გარე მომხდურებისაგან ძლეულებმა დათმეს და თავიანთ მემკვიდრეებს — რუსეთსა და გერმანიას გადაულოცეს ეს ფუნქცია.

IX საუკუნეში გერმანული ტომების ხელისუფლებად ფრანკთა მეფეები — მეროვინგები ითვლებოდნენ. ისტორიული ფაქტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის გერმანელი ტომები სწორედ ნაზორეველური ტრადიციების მსგავსი წესის მიმდევრები იყვნენ. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ მეროვინგების დინასტიას მეტსახელად „გრძელთმიანებს“ უწოდებდნენ. მაგრამ IX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ევროპის ძირითადი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. გავიხსენოთ თუნდაც ამ პერიოდში ალფრედ დიდის მიერ დაარსებული ინგლისის სამეფო, ჰოლანდიის ძლიერი სახელმწიფო, ან თავად რუსეთი, უფრო სწორად, ნოვგოროდის სამთავრო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის გაერთიანებას.

ევროპული ტომების ამგვარი „ინდივიდუალიზაცია“, რაღა თქმა უნდა, ძველი ტრადიციების მოშლისა და ახალი დროისათვის შესაფერისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას მოითხოვდა. მართლაც, ამგვარი ცვლილებები სწორედ IX საუკუნისათვის იჩენს თავს და იმით მთავრდება, რომ ტახტიდან ჩამოაგდებენ მეროვინგებს და საჯაროდ შეკვეცენ თმას იმის ნიშნად, რომ მათი „წმინდა სისხლი“ ატროფირებულია. ამ უმნიშვნელო დეტალს, როგორც ჩანს მხოლოდ სიმბოლური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. იგი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ევროპამ საბოლოოდ დასთმო ნაზორეველობა და განვითარების ქარახაველურ გზას დაადგა. ამ აქტის შემდეგ გერმანული ტომები დასავლეთის ჰეგემონის მისიასაც წაეპოტინნენ და 800 წელს რომის პაპმა ლევ III კარლოს დიდი „წმინდა რომის იმპერიის“ იმპერატორად აკურთხა.

საინტერესოა ისიც, რომ ისტორიის რამდენიმე მონაკვეთში საფრანგეთმა წამოაყენა თავისი პრეტენზიები „სრულიად დასავლეთის“ თვითმპყრობელობაზე. ამჯერად, ორი მათგანი გავიხსენოთ.

1309 წელს საფრანგეთის მეფემ ფილიპე IV მოახერხა რომის პაპის, წარმოშობით ფრანგი, კლიმენტ V-ის დაყოლიება და რეზიდენციად საფრანგეთის ქალაქი ავინიონი აარჩევინა: ეს იყო აშკარად გამოხატული თავდასხმა კათოლიკური ეკლესიის ტრადიციებზე და მიზნად ისახავდა „წმინდა რომის იმპერიის“ მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდებას. ეს ასეც აღიქვეს ევროპის ქვეყნებმა და მძლავრი პროტესტით უპასუხეს საფრანგეთის ამგვარ მოქმედებას. მღელვარებები აღინიშნა ინგლისში, რომში და თავად საფრანგეთის კათოლიკურ წრეებშიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ავინიონის ტყვეობამ“ 1877 წლამდე გასტანა და მნიშვნელოვნად შეასუსტა რომის თეოკრატიული ამბიციები.

მოგვიანებით, XIX ს-ის დასაწყისში, იმავე აქტის განხორციელება სცადა ნაპოლეონ ბონაპარტემაც და პირველ ხანებში წარმატებით განახორციელა იგი. მისი ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ ევროპის ძლიერი ქვეყნების დამარცხების შემდეგ, ნაპოლეონმა მოითხოვა კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი რელიკვია — ლონგინონის შუბი, რომლითაც, გადმოცემის თანახმად, რომაელმა ცენტურიონმა ჯვარცმულ ქრისტეს მკერდი განუგმირა. ლონგინონის შუბი ძლევამოსილებისა და ძალაუფლების სიმბოლოდ ითვლებოდა და ტრადიციულად გერმანელი მეფეების საკუთრება იყო. ამით ნაპოლეონს იმის გამოხატვა სურდა, რომ თავს „წმინდა რომის“ იმპერიის მემკვიდრედ თვლიდა, (წიგნიდან „ძალაუფლების სიმბოლო“).

მიუხედავად ამგვარი თავგამოდებული ცდებისა, საფრანგეთმა ვერა და ვერ მოახერხა მოეგო ბრძოლა გერმანიასთან „დასავლეთის გვირგვინისათვის“ ბრძოლაში. ხოლო ამ უკანასკნელმა ეს უფლება ჩვენს დრომდე მოიტანა.

მსგავსი ისტორია განმეორდა აღმოსავლეთშიც. აქ ბიზანტიის მემკვიდრედ რუსეთის იმპერია მოგვევლინა. 1453 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, მოსკოვმა თავი მის მემკვიდრედ გამოაცხადა. რომანოვების დინასტიამ კეისრობა (ცეზარ, ცარ) მიითვისა და გადაიღო ძველი ბიზანტიური გერბი ორთავიანი არწივის გამოსახულებით...

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნობილი ანტაგონიზმი რუსეთსა და გერმანიას შორის (ზოგადად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის) ერთგვარი გაგრძელებაა ნაზორეველურ-ქარახაველური მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობისა, იმ განსხვავებით, რომ დაჩრდილულია დაპირისპირების რელიგიური ნიშანი და წინა პლანზე პოლიტიკური ინტერესებია გადმოსული. მართლაც, არც პირველი და არც მეორე მსოფლიო ომი, რომლებიც ძირითადად ორი სახელმწიფოს — გერმანიასა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა, არ იყო რელიგიური ომი. ისინი წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული.

ასე მიიღო ნაზორეველებსა და ქარახაველებს შორის არსებულმა მსოფლმხედველობრივმა განსხვავებამ ჯერ რელიგიური, (მართლმადიდებლობა და კათოლიკობა), ხოლო შემდეგ პოლიტიკური (რუსეთი და გერმანია) სახე.

ქარახაველური იდეებით ნასაზრდოებმა დასავლეთმა ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა „გამოკვეთილი ინდივიდების“ ჩამოყალიბებას, ხოლო ნაზორეველური აღმოსავლეთი, როგორც „კოლექტიური“ ინდივიდების სამყარო, იმთავითვე განწირული იყო სოციალიზმისათვის.

არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ამის გამო მართლმადიდებლური მრწამსი ცუდად ხასიათდებოდეს, პირიქით, თავისი არსით მართლმადიდებლობა, კაცობრიობის მომავალს გულისხმობს, მაგრამ არა სლავიანოფილური გადასრებით. თუმცა, ეს ცალკე წერილის თემაა და ამჯერად მასზე არ შევჩერდებით.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის ნიშანდობლივია ერთი კანონზომიერება, რომელიც გარკვეული პერიოდულობით იჩენს თავს და მიუხედავად ეპოქისა, ერთი და იმავე სიმპტომებით ხასიათდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსეთის (ზოგადად აღმოსავლეთის) თავგანწირული ცდები ეძიოს ურთიერთობა დასავლეთთან და ამგვარი პოლიტიკით არა მარტო უზრუნველყოს საკუთარი საზღვრების უშიშროება, არამედ რამდენადმე აამაღლოს თავისი მუდამჟამ ჩამორჩენილი ეკონომიკა და სოციალური ყოფა.

ქართველებმა ორჯერ გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი კათოლიკური დასავლეთისაკენ. ჯერ იოანე და გიორგი მთაწმინდელები ედავებიან ბიზანტიას და დასავლეთში გარღვევას ცდილობენ იმ საბაბით, რომ იქ ქართველთა მონათესავე იბერები სახლობენ. ხოლო მოგვიანებით, საბა ორბელიანი თავად მიემგზავრება დასავლეთში, რათა ევროპის ძლიერი სახელმწიფოების პროტექტორობა მოიპოვოს.

სწორედ ამაში მდგომარეობს საქართველოს ტრაგედია. ტრაგედია ქვეყნისა, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დასავლეთისაკენ იყო მიდრეკილი და მუდამჟამს იქ ეძებდა მფარველს, მაგრამ გეოპოლიტიკური ვითარება არ აძლევდა საშუალებას თავი დაეღწია აღმოსავლეთის ჰეგემონებისაგან.

მაგრამ არ იქნებოდა მართებული მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობით აგვეხსნა საქართველოს ამგვარი უბედობა. გადამწყვეტ მომენტებში საქართველოში აუცილებლად ჩნდებოდა ძალა, რომელიც ჯერ ბიზანტიის, ხოლო შემდეგ რუსეთისაკენ მიილტვოდა. ასე იყო შუასაუკუნეებში, XVIII საუკუნეში ერეკლე მეორის დროს და ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც, როცა 1917 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ რუსეთის იმპერიალისტურმა სწრაფვებმა მორიგი მეტამორფოზა განიცადეს, მოძველებულ, ეროვნულ ნიადაგზე აგებულ იმპერიას სოციალური საფუძველი დაუდეს და ამ გზით შეინარჩუნეს იგი „საბჭოთა კავშირის“ სახელწოდებით. ამ შემთხვევაშიც გამოჩნდა საქართველოში ძალა, რომელმაც შეძლო კვლავ აღმოსავლეთისთვის დაემორჩილებინა ქვეყანა. ეგეც არ იყოს, არც დასავლეთი დაინტერესებულა სერიოზულად თავის გავლენის სფეროში მოექცია საქართველო და რუსეთის ეს „ტრადიციული სამფლობელო“ კვლავ მასვე დაუთმო...

რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იქცევს ყურადღებას. ეს ფაქტი შემდეგში მდგომარეობს: თუ რუსეთი ევროპაში პარტნიორს პოულობს (ამგვარ პარტნიორად კი უმეტესწილად გერმანია ან საფრანგეთი გვევლინებოდა) იგი მიდის შეთანხმებაზე და ხდება მსოფლიოს გავლენის სფეროებად დანაწილება.

გავიხსენოთ, თუნდაც, 1807 წლის რუსეთ-საფრანგეთის ალიანსი და შეთანხმება პირობითი საზღვრების თაობაზე. მხედველობაში გვაქვს ნაპოლეონ ბონაპარტესა და ალექსანდრე პირველს შორის დადებული ე. წ. ტილზიტის ზავი. მოლაპარაკება მდინარეზე გადებულ ბორანზე მიმდინარეობდა მოწმეების გარეშე. ორმა ჰეგემონმა მსოფლიო ორ ნაწილად დაყო, რის შემდეგაც მდინარის დასავლეთი საფრანგეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთზე რუსეთის თვითმპყრობელობა გავრცელდა.

ასეთივე შეთანხმებად შეიძლება აღვიქვათ ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც, რომელშიც ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთი მონაწილეობდა საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინის ხელმძღვანელობით. ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, როდესაც გერმანია ფაქტიურად დამარცხებული იყო, მაგრამ, რუსეთის მოულოდნელი პაციფისტური პოლიტიკის შედეგად, ტრადიციულ მოკავშირეებს — გერმანიასა და თურქეთს სულის მოთქმისა და ძველი სამფლობელოების დროებით შენარჩუნების საშუალება მიეცათ. ამ ზავის შედეგად, როგორც ცნობილია, საქართველოც ზარალდებოდა.

დაბოლოს, გავიხსენოთ, დღესდღეობით, ალბათ, ყველაზე აქტუალური ეპიზოდი დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობიდან ე. წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, რომელიც კვლავ საბჭოთსა და გერმანიას შორის დაიდო, 1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ეს იყო თავდაუსხმელობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლის საიდუმლო ნაწილი მსოფლიოს გავლენის სფეროებად დანაწილებასაც გულისხმობდა. ხელშეკრულების შედეგად რუსეთს რჩებოდა ფინეთი, ბალტიისპირეთი და ბესარაბია, აგრეთვე თავდაუსხმელობის გარანტია გერმანიის მხრიდან. მოლაპარაკების შემდეგ რუსეთმა არ დააყოვნა ბალტიისპირეთის ქვეყნების ოკუპაცია და ფინეთის წინააღმდეგაც დაიწყო ომი.

დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმის აღმოსაჩენად, რომ დღესაც მორიგი „ევროპიზაციის“ ეპოქაში ვცხოვრობთ. რუსეთი კვლავ ცდილობს დასავლეთთან ურთიერთობის მოგვარებას და ეს ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. ისტორიის განმეორებლობის თეორიას თუ ვენდობით, რუსეთს ისღა დარჩენია, სანდო პარტნიორი მოძებნოს დასავლეთში (თუ უკვე არ მოძებნა) და მასთან ალიანსში ხელახლა დაანაწილოს მსოფლიო გავლენის სფეროებად. ამგვარ ეპოქებში, როგორც დავინახეთ, დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი და თუ საქართველოს „კოლექტიური ინდივიდების“ კომპლექსისაგან განთავისუფლება სურს, სწორედ ახლა უნდა მოახერხოს იმ ძალების დათრგუნვა, ჩრდილოეთისაკენ რომ მიეზიდებიან და ერთხელ და სამუდამოდ აირჩიოს ევროპული გზა განვითარებისა, სხვა ასეთი შემთხვევა, ალბათ, აღარც მოგვეცემა.

**P.S.** ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია მალტის კუნძულებთან, გემზე მიხეილ გორბაჩოვისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრის ამბავი. ერთ ანალოგიურ შეხვედრას უკვე იცნობს ისტორია XIX საუკუნის დასაწყისში, მხოლოდ ალექსანდრე პირველსა და ნაპოლეონს შორის, მხოლოდ არა გემზე, არამედ ბორანზე. თავს ვერავინ გამოიდებს, რომ საუბარი ამჯერადაც „ინტერესის სფეროებზე“ შედგა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია; ამ შეხვედრას დიდი ცვლილებები მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო პანამაში შეერთებული შტატების ჯარები შევიდნენ.

# შეიქმნა ეროვნული ფორუმი




13-15 მარტს, თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში მუშაობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. თავყრილობის ორგანიზატორები იყვნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მონარქისტული პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება და თეთრი გიორგის კავშირი.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ზვიად გამსახურდია; შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის ძალით საქართველოს განესაზღვრა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი; საქართველოს ე. წ. სსრ მიჩნეულ იქნა ფიქციად და მის სტატუსს მიეცა დანაშაულებრივი ფალსიფიკაციის კვალიფიკაცია; აქედან გამომდინარე, ბათილად იქნა მიჩნეული ყველა ხელშეკრულება, რომლებიც ამ ხნის მანძილზე დადო საქართველოს მარიონეტულმა ხელმძღვანელობამ, მოხდეს ადგილობრივი კომპარტიის თვითლიკვიდაცია; ბოიკოტი გამოეცხადა 1990 წ. 25 მარტის საქართველოს ე. წ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს; საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული, კენჭისყრით უნდა აირჩიოს საქართველოს გარდამავალი, კოალიციური, ოპოზიციური ხელისუფლება, რომელიც იქნება ოფიციალური იურიდიული პირი; პარიტეტულ საწყისებზე არჩეულ იქნა ეროვნული ფორუმი, რომელიც გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი ცენტრი და რომელიც მოამზადებს საყოველთაო ეროვნულ ყრილობას. კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუციები საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის ბოიკოტისა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების მიმართ საბოტაჟის, 1990 წლის 25 მარტს დანიშნული არჩევნების ბოიკოტის, ქართული ემიგრაციის, ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის, დემოგრაფიული ექსპანსიის, და საქართველოს ალკკ ორგანიზაციის გაუქმების თაობაზე.

ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა თავი დაშლილად გამოაცხადა და ძალაუფლება ახლად არჩეულ ფორუმს გადასცა.

კონფერენციის მსვლელობას [illegible]თადად საქმიანი სახე ჰქონ[illegible], მაგრამ იყო მძაფრი, ემოციური, არაკორექტული ეპიზოდებიც. ვნებათაღელვა ზოგჯერ, კულმინაციურ ზღვარს აღწევდა, მაგრამ საერთო სატკივარმა შესაძლებელი გახადა სიძნელეების დაძლევა. თუმცა, სჯობს, კონფერენციის მონაწილეებს მოვუსმინოთ:

**ირაკლი ბათიაშვილი** — (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია):

ეს კონფერენცია გახდა მაუწყებელი იმისა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო და იგი ხასიათდება უპირველესად ეროვნულ ძალთა აღმავალი კონსოლიდაციით, შეურიგებელი ოპოზიციის მიერ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის თვისებრივად განსხვავებულ ასპარეზზე გასვლით, რაც გამოიხატა კონფერენციის მიერ ეროვნული ფორუმის არჩევაში, რომლის მიზანია, ეროვნული ყრილობის მოწვევა და ოპოზიციური ხელისუფლების არჩევნების კამპანიის მომზადება. ეს არის ბრძოლის თავისებური პარლამენტური გზა სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში საპირისპიროდ იმ ფსევდოპარლამენტური ბრძოლის გზისა, რომელსაც გვთავაზობენ სახალხო ფრონტი, სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვ., რომელთაც ეროვნული მოძრაობა მიჰყავთ პოლიტიკური თვალსაზრისით კოლაბორაციონისტული და პრაქტიკული თვალსაზრისით უშედეგო ან კიდევ მოჩვენებითი შედეგების მქონე მიმართულებით.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც კონფერენციაზე საუბარი იყო საოკუპაციო ჯარებთან კონფრონტაციაზე, იგულისხმებოდა ბრძოლის უკიდურესად მშვიდობიანი პოლიტიკური სამართლებრივი ფორმები და არა ფიზიკური, ძალისმიერი დაპირისპირება.

ახალ ეტაპზე ჩვენი ბრძოლის გენერალური ხაზი უნდა განისაზღვროს, როგორც ბრძოლა საოკუპაციო ჯარის საქართველოს ტერიტორიიდან გასაყვანად. რადგან ეს ჯარი წარმოადგენს საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის არსებობის და მისი ხანგრძლივობის გადამწყვეტ ფაქტორს (ეს 9 აპრილმაც გვიჩვენა). საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალიზაცია დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყება საოკუპაციო ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიების დატოვება.

დღეს, ლიტვამ გამოაცხადა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საბჭოთა ხელისუფლების გაუქმება მის ტერიტორიაზე მაშინ, როდესაც ფაქტიურად და შინაარსობრივად ლიტვა კვლავ ოკუპირებულ მდგომარეობაში რჩება, საოკუპაციო ჯარი ისევ დგას ლიტვის ტერიტორიაზე, იმპერიული ეკონომიკური სტრუქტურა კვლავ ძალაშია და, სსრკ მთავრობის განცხადებიდან ჩანს, რომ ამ სტრუქტურების ყოველნაირ ხელყოფას დაუშვებლად მიიჩნევს.

მეტად ადვილია დეკლარაციის მიღება ერის დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე და ხალხში სადღესასწაულო განწყობის შექმნა, მაგრამ თავის მოტყუების უფლება ეროვნულ მოძრაობას არა აქვს. იგი ვალდებულია, ბრძოლა აწარმოოს მანამ, სანამ რეალურად არ შექმნის იმის პირობასა და საფუძველს, რომ დაიწყოს დაკარგული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების თანმიმდევრული შენება.

თუ ჩვენ მხოლოდ სახელს შევუცვლით ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც არ ექნება მმართველობის არავითარი შესაძლებლობა, რეალური დასაყრდენი, მაშინ ეს ხელისუფლება დარჩება ფიქციად.

რაც შეეხება ოპოზიციურ ხელისუფლებას, მას აქვს არა მმართველობის პრეტენზია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლისა... ამდენად, ჩვენი გზა სწორი და გამართლებულია.

**მამუკა გიორგაძე** — (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი):

ახლანდელი კონფერენციის მიზანი ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიმართულების გარკვევა იყო.

არსებობს ორი მიმართულება: პირველი — რადიკალური, შეურიგებელი ოპოზიცია და მეორე — ხელისუფლებასთან ნაწილობრივი თანამშრომლობა. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ კონფერენციამ პირველს დაუჭირა მხარი. ეს გამართლებულია, როგორც ზნეობრივი, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება სახალხო ფრონტს, ჩვენ მისი პოზიცია მცდარად მიგვაჩნია, თუმცა, სახალხო ფრონტში ბევრი პატიოსანი მამულიშვილია.

კონფერენციის შედეგია ისიც, რომ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ძალები გაერთიანდნენ. უახლოეს მომავალში მოწვეული იქნება ყრილობა. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან 70 წლის განმავლობაში პირველად მოხდება საქართველოს მოსახლეობის ნების გაცხადება. ამ ყრილობის მოწვევასა და არჩევნების ჩატარებაზე იმუშავებს ის 43 კაცი, კონფერენციამ რომ აირჩია. ამ შრომატევად საქმეს, ალბათ, მხოლოდ ფორუმის წევრები ვერ გასწვდებიან და შეიქმნება ქვეკომისიები.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის არჩევა კონფერენციაზე არ მომხდარა. ვიმეორებ: კონფერენციაზე არჩეული ფორუმი მოამზადებს ყრილობას, რომელზეც საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი აირჩევს გარდამავალ, ოპოზიციურ, კოალიციურ მთავრობას. ასეთი საკითხის გადაწყვეტის პრიორიტეტი მხოლოდ ყრილობას აქვს.

კონფერენციაზე გამოითქვა აზრი, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას არაქართველი მოსახლეობის ინტერესები და მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ მომავალ ყრილობაში. ისინი უნდა ჩავაბათ ეროვნულ მოძრაობაში და ერთად ვიაროთ.

**ნოდარ ნათაძე** — (საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე):

ჩემი აზრით, საქართველოს ინტერესების ერთგული უზენაესი საბჭოსათვის ბრძოლა აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საბჭო კანონიერი არ არის და ვერც იქნება.

პატრიოტული ძალების საკოორდინაციო საბჭოს შექმნა აუცილებლად მიმაჩნია, თუმცა ამ ძალების შეერთება ერთ ორგანიზაციად მიზანშეწონილი არ არის. ერის სახელით ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ საყოველთაო არჩევნებით არჩეულ კრებას, ეროვნული მოძრაობის სახელით — საკრებულოს, რომელიც ეროვნული მოძრაობის ყველა ძალას აერთიანებს. მიუხედავად ამ ფორმალური კრიტერიუმებისა, მისასალმებელია, ეროვნული ძალების კონსოლიდაცია;

რაც შეეხება არჩევნების ჩატარების კონკრეტულ სახეს, იგი, ჩემი აზრით, აუცილებლად, მხოლოდ და მხოლოდ მრავალპარტიული წესით უნდა ჩატარდეს, რაც კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ.

მწამს საქართველოს მომავლის, მწამს, რომ ეროვნულ მოძრაობაში მალე ჩაერთვებიან ისეთი ადამიანები და პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც თანაბრად ძლიერნი იქნებიან, როგორც მოედანზე, ისე დარბაზში.

მომავალი ჩვენია, თუ ჩვენ თავად ვივარგებთ!

●

კონფერენციამ უამრავი „წყევლა-კრულვიანი საკითხავი" კიდევ უფრო მძაფრად შეგვაგრძნობინა, მაგრამ საუკუნეების წინათ თქმული დიდი მამულიშვილის სიტყვები კიდევ უფრო თანამედროვედ აღვიქვით: „თუცა ერთად ზართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ვერ გაგტეხთ... თუ გაიყრებით, თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა"...

# გვჭირდება ამდენი მარქსიზმი?

თამარ ქუკავა

მარქსის მოძღვრება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში და საშუალო სკოლებში დაახლოებით შვიდ დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლება. ესენია: დიამატი, ისტმატი, მეცკომი, პარტისტორია, პოლიტეკონომია, საზმეცი, მარქსიზმ-ლენინიზმი. თითოეული მათგანი ისწავლება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში სემინარების, პრაქტიკუმების, ჩათვლების, გამოცდების, კოლოკვიუმების მთელი სისტემის თანდართვით. ეს კი იწვევს ზედმეტ განმეორებებს, პარალელებს, ვაკუუმს მასალის თვალსაზრისით ლექციების კითხვის დროს, რაც ლექტორ-მასწავლებლებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო მსმენელებში იწვევს ინდიფერენტიზმს, აპათიას, ზოგჯერ სიძულვილსაც კი აღნიშნული დისციპლინების მიმართ.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მარქსიზმი ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში. მაშინ ის კარგად პასუხობდა ეპოქის საჭირბოროტო საკითხებს. მას შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა და ჩვენ ისევ ამ მოძღვრებას მივსდევთ; მოძღვრებას, რომელმაც ცხოვრებაში ბევრგან არ გაამართლა. ამიტომ ჩვენი აზროვნებაც მნიშვნელოვნად ჩამორჩა მსოფლიოს აზროვნების განვითარებას და გაიყინა XIX საუკუნის აზროვნების დონეზე.

თვით მარქსიზმის კლასიკოსებს ფუნდამენტური შრომები ფილოსოფიაში არ შეუქმნიათ და ამიტომ მარქსიზმის დიდი ნაწილი შემდგომი დროის თეორეტიკოსთა დამატებები და მოსაზრებებია. ლენინი ხშირად ამბობდა, რომ ის არ არის სპეციალისტი ფილოსოფიაში: „მე ძლიერ ვგრძნობ, რომ მოუმზადებელი ვარ ამ დარგში (იგულისხმება ფილოსოფია. — თ. ქ.), რაც ხელს მიშლის საჯაროდ გამოვიდე“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 34, გვ. 484).

განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ მარქსიზმი გადავაქციეთ დოგმად, შაბლონად, ტრაფარეტად და მარქსის ან ენგელსის მხოლოდ ციტატაც ჭეშმარიტების დამადასტურებელ უტყუარ საბუთად მიგვაჩნდა, რაც ბორკილად იქცა ჩვენი აზროვნების წინსვლისათვის.

რაც მთავარია, ეს დისციპლინები (თუ ისინი დისციპლინებს წარმოადგენენ) სათავეს იღებს პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მე-4 თავიდან, რომელიც უაღრესად ლაკონურად იყო დაწერილი სტალინის მიერ. შემდეგ „თეორეტიკოსებმა“ იწყეს მისი გაფართოება და გაღრმავება და ეს პაწაწა თავი რამდენიმე დამოუკიდებელ „დისციპლინად“ ჩამოყალიბდა. მაგრამ სწორედ ასე ჩამოყალიბებული მარქსიზმი ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ მარქსიზმს, თვით მარქსის მოძღვრებას. მარქსიზმის კლასიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ შემოქმედების, აზროვნების თავისუფლებას და ილაშქრებდნენ აზროვნების შემზღუდავი ყოველგვარი ფორმების წინააღმდეგ. გავიხსენოთ „ანტი-დიურინგი“, სადაც ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდა დიურინგს იმის გამო, რომ მას თავისი დებულებები „უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად“ მიაჩნდა. გავიხსენოთ, თუ როგორ აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი ჰეგელს იმის გამო, რომ მან თავისი მოძღვრება მიიჩნია აზროვნების გვირგვინად, აზროვნების განვითარების უმაღლეს საფეხურად. ენგელსი თავის მეთოდს, რომელსაც ის „მატერიალისტურ მეთოდს“ უწოდებდა, თვლიდა მხოლოდ სახელმძღვანელო დებულებად მოქმედებაში და წინააღმდეგი იყო მისი შაბლონად, ტრაფარეტად გადაქცევისა (მარქსი და ენგელსი, რჩეული წერილები, 1947, გვ. 461). ლენინი მრავალგზის აღნიშნავდა სიტყვის, აზროვნების, შემოქმედების თავისუფლების აუცილებლობას. გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს ლენინის თხზულებებიდან.

ლენინი მოითხოვდა ლიტერატურული შემოქმედების თავისუფლებას: „უდავოა, ამ საქმეში (იგულისხმება ლიტერატურული შემოქმედება. — თ. ქ.) უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“ (ლენინი, თხზ. მე-4 გამოცემა, ტ. 10, გვ. 86-87); მოითხოვდა ცენზურის აკრძალვას: „ლიტერატურამ თავი უნდა დააღწიოს ბატონყმური ცენზურის ტყვეობას“ (იქვე, გვ. 88); მხარს უჭერდა პრესისა და სიტყვის თავისუფლებას: „ჩვენ გვსურს შევქმნათ და კიდევაც შევქმნით თავისუფალ ბეჭდვით სიტყვას, თავისუფალს არა მარტო პოლიციისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან და კარიერიზმისაგან“ (იქვე); „ყველას აქვს უფლება სრულიად შეუზღუდავად წეროს და ილაპარაკოს ყველაფერი, რაც მას სურს... მე ვალდებული ვარ სიტყვის თავისუფლების გამო მოგცე შენ სრული უფლება იყვირო, იცრუო და წერო, რაც გნებავს“ (იქვე), ლენინი მხარს უჭერდა ხელოვნების თავისუფლებას წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, სადაც ლაპარაკობდა ასახვის ორგვარ მეთოდზე, პასიურ, სარკისებურ ასახვაზე და თავისუფალ შემოქმედებით ასახვაზე, ლენინი ამ მეორე ასახვის მომხრე იყო; მხარს უჭერდა ფანტაზიის თავისუფლებას და ის საჭიროდ მიაჩნდა მეცნიერებაშიც კი: „მათემატიკაშიც კი საჭიროა ის (იგულისხმება ფანტაზია. — თ. ქ.), დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოანგარიშებათა აღმოჩენაც კი შეუძლებელი იქნებოდა უფანტაზიოდ. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა“ (ვ. შადური, ლენინი ლიტერატურის შესახებ. თბ. 1945, გვ. 11).

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კი მარქსიზმი დაუპირისპირდა თვით მარქსიზმს, მის სულს, მის ძირითად ნაწილს, აზროვნებისა და შემოქმედების თავისუფლებას, და დოგმად გადაიქცა. მცირეოდენი გადახვევაც კი მარქსის ან ენგელსის რომელიმე შემთხვევითი გამონათქვამიდან ითვლებოდა უდიდეს პოლიტიკურ დანაშაულად და ბევრმა ამ „გადახვევის“ გამო თავიც წააგო. სამაგიეროდ, საკმარისი იყო ზუსტი ციტირება მარქსის ან ენგელსის გამონათქვამისა, რომ ადამიანი გამოცხადებულიყო ჭეშმარიტ მარქსისტად, არსებული სისტემისა და პოლიტიკის დამცველად. თვით ციტატა კი ითვლებოდა ჭეშმარიტების უტყუარ, დამადასტურებელ საბუთად. ყოველივე ამან გამოიწვია აზროვნების გაყინვა, გაქვავება, გაჰქრა პიროვნებისა და მისი ფანტაზიის თავისუფლება, შეიბოჭა ფილოსოფიის განვითარება.

აზროვნების ამ ტოტალიზაციის პროცესმა განსაკუთრებით ავნო ლიტერატურასა და ხელოვნებას; ისინი დაუმორჩილეს და შეზღუდეს ხელოვნურად შექმნილი მიმდინარეობით, ე. წ. „სოციალისტური რეალიზმით“, რომელიც მოითხოვდა შემოქმედისაგან ეწერა მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის აღმავლობის შესახებ, ხოტბა-დიდება შეესხა არსებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სისტემისათვის. მცირეოდენი გადახვევაც კი ამ მეთოდიდან ნიშნავდა ამ პიროვნებისათვის გზის გადაკეტვას. კიდევ მეტი, ეს მოასწავებდა მის ფიზიკურ განადგურებასაც. მართლაც, რამდენი ნიჭიერი შემოქმედი შეიწირა ასეთმა „გადახვევამ“ სოციალისტური რეალიზმიდან.

ასე იქნა გაძევებული და ალკვეთილი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნება, თავისუფალი შემოქმედება, შეეკვეცა ფრთები ოცნებასა და ფანტაზიას. ხოლო თავისუფლებას მოკლებული ხელოვნება ემსგავსება მცენარეს ჰაერისა და ნიადაგის გარეშე, რომელიც განწირულია დაღუპვისათვის. ასე აღიმართა გადაულახავი ჯებირები შემოქმედი ინტელიგენციისა და მოაზროვნე ადამიანების წინაშე.

ყოველივე ამის შედეგებს ვხედავთ დღესაც. უმაღლესი სასწავლებლები, რომელნიც მოწოდებულნი არიან აღზარდონ მოაზროვნე და შემოქმედი თაობები, კვლავ შებოჭილნი არიან ცრუ მარქსისტული მოძღვრების მრავალრიცხოვანი დისციპლინებით. დამონებული, დათრგუნული შემოქმედება ძლივს ფეთქავს. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება „გარდაქმნის“ სულსაც, „გარდაქმნის“ ძირითადი პრინციპია პლურალიზმი, რაც აზრთა ნაირგვარობას, პარტიათა და მიმდინარეობათა სიმრავლეს გულისხმობს (სიტყვა პლურალიზმი ლათინურია და ნიშნავს მრავალს, ბევრს). ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ ჭეშმარიტება იბადება მხოლოდ კამათის, აზრთა ჭიდილისა და დაპირისპირების დროს.

აზროვნებისა და შემოქმედების შეზღუდვა და დაყვანა მხოლოდ ერთ მიმართულებაზე, ან ერთ პარტიაზე ეწინააღმდეგება მარქსიზმის ძირითად კანონს განვითარების საყოველთაო და მუდმივი ხასიათის შესახებ. თუ განვითარება მუდმივი და მარადიულია, არ შეიძლება ამ განვითარების შეჩერება ერთ რომელიმე მოძღვრებაზე და ამ მოძღვრების ჩათვლა აზროვნების უკანასკნელ მიღწევად. ერთი მსოფლმხედველობისა და, მაშასადამე, ერთი პარტიის დაშვება ეწინააღმდეგება დიალექტიკის მეორე ძირითად კანონსაც — წინააღმდეგობის, როგორც განვითარებისა და მოძრაობის აუცილებელი პირობისა და საფუძვლის შესახებ. განვითარებისათვის აუცილებელია წინააღმდეგობა, ბრძოლა აზრთა შორის და ამ ბრძოლის შედეგად ჭეშმარიტების, სწორი გზის მიგნება.

მარქსიზმი ისწავლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ფილოსოფია. სინამდვილეში კი ფილოსოფია, ანუ კაცობრიობის აზროვნების განვითარების 30-საუკუნოვანი ისტორია სავსებით გამოძევებულია ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებიდან და ის შეცვლილია მხოლოდ ერთი ადამიანის მოძღვრებით. გამოძევებულია აგრეთვე ლოგიკა, რაც ესოდენ აუცილებელია სწორი აზროვნებისათვის. სრულიად გამოძევებული იქნა ეროვნული, კერძოდ, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორია, რომლის სწავლებაც აუცილებელია ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

საზღვრების გაძლიერებული დაცვის, უამრავი საბჭოსა და კონტროლის შედეგად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, მათ შორის ახალგაზრდობა, მოწყვეტილი აღმოჩნდა ცივილიზებულ სამყაროს. რკინის ფარდა, რომელიც აღიმართა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ჩვენს ქვეყანას შორის, აბრკოლებდა და ახლაც აბრკოლებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება ამ ფარდის იქით აზროვნებისა და ხელოვნების სფეროში. ამ მიმართულებით კონტაქტების საშუალება მეტისმეტად შეზღუდულია. ფილოსოფიური და ლიტერატურული შრომების დედნები უცხო ხილად იქცა, თარგმანები იშვიათია, ესა თუ ის თხზულება ქართულად შეიძლება ითარგმნოს მხოლოდ მაშინ, თუ ის უკვე თარგმნილია რუსულად. „ზევიდან“ გვკარნახობენ, რა უნდა წავიკითხოთ და ვთარგმნოთ, და „ზევიდან“ მეტწილად გვაწვდიან უკვე დრომოჭმულ, არააქტუალურ, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მოძველებულ ნაწარმოებებს. ასე ჩამორჩა ხელოვნება და აზროვნება განვითარებას და გაიყინა ძველი, დრომოჭმული აზროვნებისა და ხელოვნების დონეზე. საჭიროა ხმა აღიმაღლონ მწერლებმა, ფილოსოფოსებმა, ხელოვნების წარმომადგენლებმა. ისინი კი სდუმან, ხოლო ვინც ამ დარგებს წარმართავს, თავისი ჩამორჩენილი გემოვნებით და აზროვნებით გვირჩევენ ლიტერატურას.

ერთი სიტყვით, კვლავ დღის წესრიგში დგას ბრძოლა სიტყვისა და აზროვნების, შემოქმედებისა და ხელოვნების თავისუფლებისათვის. მათი მხოლოდ ერთი მეთოდით, ან მხოლოდ ერთი ადამიანის ნააზრევით შეზღუდვა ნიშნავს დიქტატს, ტოტალიტარიზმის გავრცელებას ამ სფეროებზე. თავისუფლება, პირველ ყოვლისა, ადამიანის მოღვაწეობის ამ სფეროებს სჭირდება, ამის გარეშე არ გვექნება ძვრები არც ეკონომიკაში და არც ჩვენი ცხოვრების სხვა დარგებში. პირველ რიგში, აზროვნება და შემოქმედება უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი დიქტატისაგან, თუ ჩვენ გვინდა თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეებშიც. გარედან იძულებით თავსმოხვეული მიმართულება აკნინებს შემოქმედებასა და აზროვნებას, ამცირებს შემოქმედებით პათოსს, უსიამოვნოს ხდის შემოქმედების პროცესს, ასუსტებს და დაბლა სწევს შემოქმედების მხატვრულ დონეს. როგორც კი მხატვრის შემოქმედებით სამყაროში შეიჭრება რაიმე კანონმდებლური, მაშინვე ბოლო ელება შემოქმედებით ინდივიდუალობას და ჭეშმარიტ შემოქმედებასაც, რადგან ინდივიდუალური მრავალფეროვნების ადგილს ტრაფარეტებსა და მზამზარეულ თარგებზე გამოჭრილი ხელოსნობა დაიკავებს. ჭეშმარიტ ხელოვნებას კი ყველაზე მეტად ერთფეროვანება სძულს...

ამიერიდან საჭიროა, რომ მარქსიზმს უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამებში დაეთმოს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის სინამდვილეში, ე. ი. ის უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთი თავი საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორიისა. დაუშვებელია აზროვნების ერთი ეტაპის გასალება მთელ ფილოსოფიად, და კაცობრიობის აზროვნების განვითარების 30-საუკუნოვანი ისტორიის იგნორირება. აუცილებელია აღდგეს ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი კურსის სწავლება, რომელიც მოიცავს აზროვნების განვითარების მთელ ისტორიას და არ იზღუდება მხოლოდ მარქსის მოძღვრებით. უნდა აღდგეს ლოგიკის სწავლება, რათა ახალგაზრდობამ იცოდეს აზროვნების კანონები და სწორად იმოქმედოს და წეროს. ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შემოვიღოთ ქართული ფილოსოფიის ისტორიის სწავლება. ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ დიქტატსა და იძულებას ხელოვნებასა და ლიტერატურაში, აღმოიფხვრას ამ მხრივ ტოტალიტარიზმისა და დიქტატის გადმონაშთები და ტრადიციები. ბოლო უნდა მოეღოს რკინის ფარდას, რაც აშორებს ჩვენი ქვეყნის ერებს სხვა ქვეყნებისაგან და ამიტომ ხელს უშლის ზიარებას მსოფლიო ცივილიზაციასა და აზროვნებასთან. საჭიროა ბრძოლა სრული ინფორმაციისათვის იმის შესახებ, რაც ხდება რკინის ფარდის იქით.

ერთი სიტყვით, წინ ისევ გრძელი გზა გვიძევს. უნდა ვიბრძოლოთ სიტყვის, პრესის, აზროვნებისა და შემოქმედების თავისუფლების მოპოვებისა და დამკვიდრებისათვის, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთპარტიული სისტემიდან მრავალპარტიულობაზე გადასვლის აუცილებლობასთან.

---

* სტატია რამდენიმე თვის წინ დაიწერა (რედ.).

# უნდა გადაწყდეს!

გასულ წელს (17. II. 1989) „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა წერილი „ბაგრატის ტაძარი სდუმს“. (ავტორები: ნ. ხატისკაცი, ი. მახარაძე, გ. მენაბდე).

„...განსაკუთრებით გულსაკლავია ბაგრატის ტაძრის მდუმარება, საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბურჯის, ხუროთმოძღვრული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშის ბედი“. წერენ ავტორები და სავსებით გასაგებია მათი გულისტკივილი.

ტაძარი ათი საუკუნის წინ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ქართველთა სამეფოს ერთიანობისა და სიძლიერის (ეგრე ვარაუდობენ) სიმბოლოდ ააგო. 1691 წელს თურქთა შემოსევისას, ძნელბედობისას დაინგრა; მას შემდეგ დგას დაქცეული, იავარქმნილი. 35 წლის წინ დაიწყო აღდგენითი სამუშაოები (რესტავრაცია, კონსერვაცია) და იგი მთავრდება, თუკი დამთავრებულად არაა ჩათვლილი. ახლა, ვიდრე ოდესმე, ნათლად გამოიკვეთა და დაშორიშორდა ძველი და ახალი ნაგები და ნაცოდვილარი. ეს ბუნებრივი გვგონია და მაინც, ძეგლი უკვე აღარც ტაძარია, აღარც ნანგრევი. ამიტომ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებასაც თუ გავითვალისწინებთ, იგი უნდა აღდგეს. ამ იდეას მრავალი ეწინააღმდეგება და აღდგენა-არაღდგენის დავაც „არ ახალია, ძველია“. ამაზე ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, ჭრიდნენ — კრავდნენ, ყოყმანობდნენ; ფიქრობენ ახლაც, ყოყმანობენ, შიშობენ, აღდგენის უარს ამბობენ.

1987 წელს რამდენიმე პირის თანდასწრებით ვესაუბრეთ ტაძრის რესტავრატორს ბატონ ვახტანგ ცინცაძეს და „მრგვალი მაგიდის“ რუბრიკით ეს საუბარი „განთიადში“ (1987 № 5) გამოვაქვეყნეთ. წერილის ავტორებს (ნ. ხატისკაცი, ი. მახარაძე, გ. მენაბდე), ჩვენი ვარაუდით, საუბარი წაკითხული არა აქვთ. ამას აღარც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მაინც შევახსენებთ, რომ ტაძრის მთლიანად აღდგენას ჩვენც ვუჭერდით მხარს ფრთხილად, ვითვალისწინებდით რა ამ იდეის მოწინააღმდეგეთა ძალას და მრავალრიცხოვნებასაც კი. „...ქუთაისის თავკაცები (აქეზებენ წერილის ავტორები იქაურებს) ძალას და ენერგიას არ დაიშურებენ ამ საქმისათვის...“ ე. ი. აღდგენისათვის. ეგ ეგრე იქნება, ცხადია, და აქვე დავძენთ: არც აქამდე ზოგავდნენ თავს, მოქალაქენიც ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს თავკაცებს და მათი მონდომება შესაშურად იდენტური იყო. მთავარია გადაწყდეს, დადგინდეს და შემდეგ არც ძალას დაიშურებს ვინმე, არც ენერგიას, არც ფულს. არც თუ დიდი ხნის წინ ტაძრის შემოგარენის, „ციხე-ქალაქის“ ციტადელის გაწმენდა-გასუფთავებაზე მთელი ქალაქი ერთდროულად აპირებდა ასვლას. ქარხნების, საწარმოო-დაწესებულებების მუშები და თანამშრომლები ყოველგვარი ძალდატანებისა და აგიტაციის გარეშე შრომობდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ შაბათობებზე. თავთავიანთ (ყველას ერთად ვერ დაიტევდა იქაურობა) რიგს მოუთმენლად ელოდნენ, საყვედურობდნენ, რატომ არ გვეძახითო და სხვა... ბოლოს ამ პროცესს აჩქარება, ზედაპირულობა დაეტყო და მინელდა კიდეც. მაშინ ჩვენც და სხვებიც, ვფიქრობდით, რომ ტაძრის ჩუქურთმიანი, შეიძლება წარწერიანი ქვები კერძო მოსახლეთა, სემინარიის შენობისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ყოფილი შინარეზიდენციის კედელ-ბალავარში იქნებოდა ჩაყოლებული. ვარაუდი, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, არ გამართლდა, თუმცა ნახვის იმედი მთლიანადაც არ გადაწურულა.

ცნობილია, რომ მარმარილოს (ვარაუდობენ სტალაგმიტის) სვეტები თურქებმა წყლით (რიონით) გაზიდეს და გაიტანეს საქართველოდან, ვწერდით (იხ. „განთიადი“ № 5, 1987 წ.), ჩვენმა თანამემამულე მსახიობმა ქალმა ერთ არაბულ ქვეყანაში ნახა გაძარცული ეკლესიების, მათ შორის ბაგრატის ტაძრის ქვებით აგებული მეჩეთი. გაზიდეს, გაძარცვეს არაქრისტიანებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამაც არ დააკლო ხელი, სამახსოვროდაც გაიყოლა თითო ქვის ნატეხი ზოგიერთმა მამულიშვილმა და ტაძარი მაინც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებდა უფრო ადრე, სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდეც;

აი, რას წერდა ნაკლებცნობილი რუსი მოგზაური, ვინმე ევგენი მარკოვი, 1880-იან წლებში:

„...გუმბათი დიდი ხნის ჩაქცეულია, დაშლამდე მისულ, დაპობილ კედლებს დაღუპვის მაუწყებელი, მცოცავი ხვიარა ბალახები, ბუჩქები და ხეები შეხვევია. კედლებზევე ყილყილაობენ და ყვავიან ყვავილები, ქვის ფრიზებში, კარნიზებში ფესვებია ჩახლართული. თვალშეუწვდომი კედლის ზევით ლაჟვარდოვანი ცა ჩანს. ოთხი უზარმაზარი სვეტი, ოდესღაც რომ იჭერდა გუმბათს, წაქცეულია და დიდი პოსტამენტებია მხოლოდ დარჩენილი, პორფირის მწვანე სვეტები ერთმანეთზე ყრია... დასავლეთ კარიბჭესთან ბალახში ლოდებია აზორხლილი. აქ მე ორ უმშვენიერეს არქიტავრს წავაწყდი. არქიტავრზე მარტორქები, ჯიქები, აპოკალიფსური ფრინველებია ამოკვეთილი. კედლებზე შერჩენილი ჩუქურთმები ამკობენ, ამსუბუქებენ მაღალ და დიდებულ ტაძარს“.

დასავლეთი კარიბჭე, ევგენი მარკოვი, რომ ახსენებს, მხატვარ ჩერენცოვს 1830 წელს ჩამოუქცეველი დახვედრია, ჩაუხატავს კიდეც და ის ჩანახატიც მრავლისმეტყველია. დანგრეულ ტაძარს მარკოვის გარდა ბევრი თვალითმხილველი მოუყვანია აღტაცებაში. ნანგრევები, რა დასამალია, რესტავრირებულზე უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემ ბავშვობაშიც და ამას მარტო ბავშვობას ნუ დავაბრალებთ...

მარტორქებიანი, გრიფონებიანი ქვები, სტალაგმიტებისა და მარმარილოს ფერადი სვეტები აღარსადაა, მათი აღმოჩენის იმედიც აღარ არის, ამიტომ დაყოვნებას აზრი აღარ აქვს... ბაგრატის ტაძარი უნდა აღდგეს! იგი ახლა აღარც ტაძარია, აღარც ნანგრევი!

ფართო არქეოლოგიური მუშაობაა გაჩაღებული ტაძრის შემოგარენში, უქიმერიონის გორაზე. აღმოჩენილია და ისევ ამოდის მიწიდან ლაზიკისა და აფხაზ (დასავლეთ საქართველოს) მეფეთა სასახლეების, სამოქალაქო, საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, მაშინდელი მატერიალური კულტურის ნამსხვრევები. ახლოვდება გაერთიანებული საქართველოს პირველი დედაქალაქის 1000 წლისთავი. აღსადგენია ბაგრატი, გეგუთი, გასაწმენდია ციხე-ციტადელი უქიმერიონზე, სარესტავრაციო სამუშაოები ტარდება გელათში, სხვაგანაც და ეს მაინც ნაწილია მთელისა. ქუთაისში, მის შემოგარენში საქართველოს ისტორიის დიდი მონაკვეთია ჩაფლული და ეს ყველას არ ესმის, ამ ფაქტის გასიგრძეგანება იოლი არ ყოფილა.

შარშან თებერვალში საქართველომ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დავითის ზეობის (ტახტზე ასვლის) ცხრაასი წლისთავი აღნიშნა. ეს ღირსახსოვარი მოვლენა საქართველოს დედაქალაქმა იზეიმა უპირველეს ყოვლისა, იზეიმა ქუთაისმაც უსტუმროდ, იზეიმა გელათმაც დავითის სამუდამო განსასვენებელმა, „ძვალთშესალაგმა“. ამ ზეიმზე თბილისიდან ქუთაის-გელათში არ ჩასულა არც ბერი, არც ერისკაცი. თბილისში მიაგეს მხოლოდ მისაგებელი და საპირველმაისო-საშვიდნოემბრო მოედანზე ჩაუყარეს მის ძეგლს საფუძველი. საღამო კი ლამის „იმელში“, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გადაუხადეს. ეს იმიტომ, რომ საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელებმა საშვიდნოემბრო მოედანზე ამჯობინეს პარაკლისის გადახდა, იმის მაგივრად, რომ ჩასულიყვნენ იქ, სადაც თექვსმეტი წლის ჭაბუკს სამეფო გვირგვინი დაადგეს. ამ დაუდევრობას (რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ) იოლად გამოვასწორებთ, დავით აღმაშენებლის ზეობის 1000 წლისთავზე. 99 წლის შემდეგ, მთავარია, სხვაც არ შეგვეშალოს.

ეს წელი აკაკისაა. შარშან შემოდგომაზე უკვე შედგა პირველი წარმომადგენლობითი საიუბილეო სხდომა უმაღლეს დონეზე. იუბილესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები განიხილეს, ყველაფერზე ილაპარაკეს, ყველა ქალაქი ახსენეს ქუთაისის გარდა. პირველ ცირკულარში, რომელიც სხვადასხვა ქალაქების სამწერლო ორგანიზაციებს გაეგზავნა, ქუთაისი ნახსენები არ არის, თითქოს აკაკის ქუთაისთან არა აკავშირებდეს რა. სასაცილოა ამის შეხსენება, მაგრამ ზოგიერთისთვის, როგორც ჩანს, მაინც საჭიროა: სიცოცხლის დიდი ნაწილი, მათ შორის ყრმობა აკაკიმ ქუთაისში გაატარა. იგი უფრო დიდი ქუთაისელი იყო, ვიდრე: ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ზაქარია ფალიაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გალაკტიონ ტაბიძე, დავით კაკაბაძე. აკაკის დაბადების 150 წლისთავი უნდა იდღესასწაულოს მთელმა საქართველომ, მათ შორის, ქუთაისმაც. წინასწარი მონაცემებით, შეიძლება ეგრე არ მოხდეს, დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავს თუ გავიხსენებთ, ეგ არც იქნება გასაკვირველი. ბაგრატის ტაძრის გუმბათი ოთხ სვეტზე იყო დაყრდნობილი და ოთხ სვეტზე უნდა დადგეს კვლავ იგი. საქართველოს, ეთნიკურ-გეოგრაფიულ მდგომარეობა-მდებარეობას გავიხსენებთ, ერთ სვეტზე ვერ იყანყალებს... ქუთაისი ერთიანი საქართველოს პირველი დედაქალაქის 1000 წლისთავის აღნიშვნას აპირებს, ეს ფაქტი ანეკდოტი გონია ბევრს და ამაზეც ცალკე უნდა ითქვას. გაისად ბაგრატის ტაძრის დაქცევის 300, იმ საუკუნის დასაწყისში კი 2003 წელს ბაგრატის ტაძრის აგების 1000 წელი ხდება, როდის აღვადგინოთ ბაგრატის ტაძარი?! დაქცევიდან 300 წლისთავზე, თუ დაველოდოთ იმ საუკუნეს? არასოდეს, არსებობიდან დღემდე, საქართველოს ამდენი ჭკუის მასწავლებელი არ ჰყოლია და იქნებ აღდგენა-არაღდგენის საკითხიც გადავწყვიტოთ ერთობლივად, მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები დავადგინოთ.

საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა ერთიანობის ნიშანსვეტად აღვადგინოთ ტაძარი და მის კუთრზევაზე მოვიწვიოთ „...მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი, კათალიკოსნი, მღვდელმთავარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი მამულისა სამეფოსა მისსა მყოფნი და ხუზუათა ყოველნი სახელმწიფონი“.

დღესვე უნდა გადაწყდეს, მალე უნდა აღსრულდეს!

**რეზო ჭეიშვილი**

# წერილი რედაქციას

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ბატონ ივანე ბერიტაშვილის მიმართ წაყენებულმა ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებამ. ჯერ იყო და ა. ჩხარტიშვილმა წამოისროლა სადღაც ყურმოკრული, შეუმოწმებელი, ცილისმწამებლური ფრაზა — ივანე ბერიტაშვილმა ქართული არ იცოდაო. შემდგომ ეს უსაფუძვლო განაცხადი რამდენჯერმე იქნა ციტირებული სხვა ავტორთა წერილებში და ამგვარად შეიძლება შეიქმნას ყოველგვარ საფუძველს მოკლებული საზოგადოებრივი აზრი, თითქოსდა ივანე ბერიტაშვილმა ქართული მართლა არ იცოდა.

ჭეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ ბატონმა ივანე ბერიტაშვილმა არამც თუ მშვენივრად იცოდა ქართული (ან კი შეიძლება მღვდლის ოჯახში, კახეთში დაბადებულსა და გაზრდილ კაცს ქართული არ სცოდნოდა?), არამედ, როცა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა, სხვა მამულიშვილებთან ერთად, რუსეთიდან ივანე ბერიტაშვილიც მოიწვია ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ, პირველი, რაც ბატონმა ივანე ბერიტაშვილმა გააკეთა, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის დაარსებასთან ერთად, ის გახლდათ, რომ სტუდენტებისათვის შექმნა პირველი ქართული სახელმძღვანელო ფიზიოლოგიაში. ბატონი ივანე ბერიტაშვილის მიერ შექმნილი ქართული სახელმძღვანელო გახდა საფუძველი დახვეწილი ქართული ფიზიოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნისა. მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოთი, რომელიც შემდგომ მრავალჯერ გამოიცა განახლებული სახით, ქართველ ფიზიოლოგთა მრავალი თაობა აღიზარდა ჩვენს უნივერსიტეტში და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ჩემი აზრით, ეს ფაქტები კომენტარს აღარ საჭიროებს. ამიტომ გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებას აუწყოთ სიმართლე.

პატივისცემით

**რუსუდან ქაშაკაშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.**

# საკითხის დასმა მართებულია

„ლიტერატურული საქართველოს“ 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო პოლინა ბააზოვის წერილი „მეგობრობის უკვდავსაყოფად“, რომელშიც ავტორი გვამცნობს, რომ ისრაელში წასვლამდე თბილისში ცხოვრობდა ლესელიძისა და რიყინაშვილის შესახვევის კუთხეში. რიყინაშვილის შესახვევს ადრე ეწოდებოდა „იერუსალიმის შესახვევი“. პოლინა ბააზოვი წერს, რომ ქართველი და ქართველი ებრაელების მეგობრობის უკვდავსაყოფად „რიყინაშვილის შესახვევს“, დაუბრუნდეს პირვანდელი სახელი „იერუსალიმის შესახვევი“. („ი. რიყინაშვილის“ ქუჩას უკვე ეწოდა „იერუსალიმის“ ქუჩა. რედ.). პოლინა ბააზოვის მეორე თხოვნაა, ლესელიძის ქუჩაზე სინაგოგის პირდაპირ მდებარე სკვერში, დაიდგას მისი ძმის, ოცდაჩვიდმეტ წელს რეპრესირებული მწერლისა და დრამატურგის, გერცელ ბააზოვის ძეგლი, რომლის ავტორია ამირან ჯანაშვილი.

გერცელ ბააზოვის პიესები ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში (დაპატიმრებამდე) დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. აღსანიშნავია, რომ გარდა გერცელისა ოცდაათიანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა მისი და პოლინას მამა, რაბინი დავით ბააზოვი.

ქართველმა ებრაელებმა სხვაზე უკეთ დააფასეს ის სითბო, სიყვარული და ამაგი, რაც 26 საუკუნის მანძილზე გაიღო ქართველმა ხალხმა.

ქართველი ებრაელები საქმიან კონტაქტებს ამყარებენ ჩვენთან და ამ მიზნით თავიანთ ქვეყანაში იწვევენ საქართველოს სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელ მუშაკებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს. საქართველოს ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით დახმარებას გვიწევენ ისრაელთან და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაში.

მე, როგორც მოქალაქე ვეთანხმები პოლინა ბააზოვს და მხარს ვუჭერ მას.

**ხუტა შელია**

# გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“

უცხოეთში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის გამო, სამწუხაროდ, დაგვიანებით გავეცანი თქვენი გაზეთის ა. წ. 23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ პაატა ნაცვლიშვილის წერილს „მხოლოდ დაუდევრობა?“.

„ლიტერატურული საქართველოს“ პატივცემულ რედაქციას და მკითხველებს უნდა მოვახსენო (თვით ავტორს, როგორც თვითონ აღიარებს, უკვე კარგა ხანია მოვახსენე, მაგრამ მისი აზრით, ეს მაინცდამაინც „საჯაროდ უნდა მოხდეს“!), რომ პაატა ნაცვლიშვილის წერილი „უკანასკნელი შეფიცული“ კრებულში „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ (თბ., 1989) შეიტანა, შეამცირა და დაბეჭდა თანარედაქტორმა გასული წლის შემოდგომაზე ჩემი საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, ისე, რომ **ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი** (ამას დაადასტურებს ბ-ნი გურამ გვერდწითელი).

ისე კი მთლიანად უნდა დავეთანხმო ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილის გულწრფელ სიტყვებს: „რა ისეთი აუცილებლობა იყო ჩემი ნარკვევის ამ წიგნში შეტანა!.. ჩემი ნარკვევი ქაქუცა ჩოლოყაშვილს არ ეხება და არც არავისთვის მითხოვია მისი კრებულში დაბეჭდვა“.

მართლაც, ჩემთვის რომ ეკითხათ, პაატა ნაცვლიშვილის ამ წერილს კრებულში არ შევიტანდი.

ღრმა პატივისცემით

**გურამ შარაძე**
15.III.90

# აუცილებელი განმარტება

არ მქონია პატივი მიმეცა ინტერვიუ ფრანგული ყოველკვირეულისათვის „ევენმან დიუ ჟედი“ და გამომეთქვა — როგორც ეს პარიზული ქართულენოვანი ჟურნალიდან, „გუშაგიდან“ შევიტყვე — რიგი მოსაზრებანი, რომელსაც ხსენებულ ყოველკვირეულში ჟურნალისტი მ. სზაფრანი მომაწერს, მისი სტატიის სათაურიდან მოყოლებული.

ამ არაკეთილსინდისიერი საქციელის გამო, პუბლიკაციის სრული ტექსტის გაცნობისთანავე, განზრახული მაქვს პროტესტი განვუცხადო ჟურნალისტს და რედაქციას მოვთხოვო იმავე ყოველკვირეულში ჩემი პასუხის დაბეჭდვა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორს, ბატონ გიორგი წერეთელს ინფორმაციისათვის და ხსენებული პუბლიკაციის შინაარსის მიმართ გამოთქმული ეჭვისათვის. მადლობას მოვახსენებ, აგრეთვე ბ-ნ გიორგის მის ჟურნალში გამოქვეყნებული გულთბილი გამოხმაურებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ჩემს თარგმანზე.

**გასტონ ბუაჩიძე**

# როცა გული საქართველოს ითხოვს...



ხომ ამბობენ, ქართველ კაცს სხვაზე მეტად უჭირს სამშობლოს გარეთ ცხოვრებაო, ქართველისათვის საქართველოს გარეთ ყოფნა რასაც ნიშნავს, ეს მხოლოდ ქართველმა თუ იცისო. ამის ფაქტები მრავლადაა გვაქვს.

1921 წელს, და, საერთოდ, იმ წლებში, ემიგრაციაში წასულთაგან ბევრის სახელი იმთავითვე ცნობილი იყო, ბევრზეც ამ ბოლო წლებში დაიწერა.

ამას წინათ, ბატონმა რამაზ გოგლიძემ გადმოგვცა უკვე არქივს ჩაბარებული მასალა, იგი ეხება ოციან წლებში საქართველოდან წასულ ჩვენს თანამემამულეს ნიკოლოზ ჩხოტუას.

კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე, ნიკოლოზ შალვას ძე ჩხოტუა (ქყონია) ბათუმიდან წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლოს — შვეიცარიაში. ვატიკანის აკადემიის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე იყო კარდინალის სწავლული მდივანი. გახდა მალტის ორდენის წევრი, მუშაობდა მალტის ორდენის წარმომადგენლად კოსტარიკაში, ბრაზილიაში; 1970 წლიდან დაინიშნა ამავე ორდენის ელჩად ჩილეში. ჩილედან ნიკოლოზ ჩხოტუა გადაიყვანეს ესპანეთში; გარდაიცვალა 1984 წლის 13 მაისს ლოზანაში, ანდერძად დაიბარა: ჩემი გული საქართველოში დამარხეთო.

ნიკოლოზ ჩხოტუა ექვსი შვილის მამა იყო. უფროსი ვაჟი ზურაბი (დაიბადა 1937 წელს) ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა, ცხოვრობს ესპანეთში, ბალეარის კუნძულებზე (პალმა მაიორკა), განაგებს კერძო არქიტექტურულ ბიუროებს ესპანეთში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. არის ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის მეგობარი. 1986 წელს ზურაბ ჩხოტუამ თხოვნით მიმართა ჟენევაში საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს, რომ შემწეობა აღმოეჩინათ, რათა თბილისში დამარხულიყო ურნა ნიკოლოზ შალვას ძე ჩხოტუას გულით. თუ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, დაკრძალვაზე ჩამოსვლა სურდათ ნიკოლოზ ჩხოტუას ახლო ნათესავებს და ოჯახის მეგობრებს.

როცა გული ქართულ მიწას ითხოვს, საკითხი ალბათ მხოლოდ დადებითად უნდა გადაწყდეს, ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს საკითხი შეათანხმა საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეთა საქართველოს კულტურის საზოგადოებასთან, აგრეთვე ნიკოლოზ ჩხოტუას თბილისში მყოფ ახლო ნათესავებთან: თამარ ჩხოტუასა (იგი გეოლოგია) და მარინა ჭყონიასთან (თსუ, ინგლისური ფილოლოგიის კათედრა).

ბედუკუღმართმა დრომ რა პრობლემები აღარ გაგვიჩინა, რანაირად აღარ შეგვეშალა ხელი და თითქოს აქაც გასაკვირი არაფერია: ეხოვნა არქივს გადაეცა. მაგრამ როცა გული ითხოვს, როცა წმიდათაწმიდა ანდერძი დაყოვნებას ვერ ითმენს, თუნდაც იმის გამო, რომ არავინ იცის, რა მოხდება ხვალ...

დავურეკეთ მარინა ჭყონიას, ვუთხარით, რომ რედაქციაში მზადდება წერილი და სასურველი იქნებოდა შევხვედროდით ერთმანეთს, რათა უფრო ბევრი რამ შეგვეტყო ნიკოლოზ ჩხოტუას მოღვაწეობაზე; ცხადია, გვსურდა ფოტოსურათის მოპოვებაც და... უკვე გვიან არისო, გულწრფელად შეწუხებულმა გვიპასუხა. ამ ერთი წლის წინათ, რაკი არავითარი პასუხი არ მიუღიათ, გული დაუწყვავთ, საქართველოში ტურისტული საგზურებით სამი დღით სტუმრად წამოსულან ნათესავებთან ბატონი ზურაბის მეუღლე მარიეტა და ოჯახის მეგობარი ოლგა ფონ დენი და დაფერფლილი გული, ანდერძისამებრ, თბილისში, ქართული მიწისთვის მიუბარებიათ; ბედნიერები წავიდნენ, ისეთი ბედნიერები იყვნენ, რაკი ძვირფასი და წმიდათაწმიდა ანდერძი შეასრულეს, რომ ალბათ ახლა ამაზე ლაპარაკი აღარ ღირსო....

ღირს, სწორედაც ღირს. ისედაც ბევრს ვდუმდით, ისედაც ბევრ რამეზე ჩაგვიქნევია ხელი და გავჩერებულვართ. რაღაცის და რაღაცის გამო გაჩუმებამ წინა თაობებს რა სიკეთე მოუტანა, რომ ჩვენ მოგვიტანოს. არც „შვილი დასაკარგავი" მყავს საქართველოს და არც დასაკარგავი სახელები მამულიშვილთა, რომლებმაც სახელოვანი გზა განვლეს, კეთილად იმოღვაწეს და ბედუკუღმართობის გამო ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდნენ თავის ქვეყანას. ერთმა იმათგანმა კი სიკვდილის წინ ეს დაიბარა: ჩემი გული საქართველოში წაიღეთ, ვერის პატარა სასაფლაოზე დედაჩემი და ჩემი და მარხია და იმათთან დაასვენეთო.

და აი, ისევ მის ახლობლებთან ვართ.

წერილები, ფოტოები, წიგნები... ყველა წერილში გაუნელებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა, ახლობლებისა, . ყველაფრისა, რაც საქართველოს უკავშირდება.

ოლგა ფონ დენის წერილიდან: „ქართველ მწერალსა და ფილოსოფოსს გრიგოლ რობაქიძეს ნიკო ძალიან აფასებდა და პატივს სცემდა. გრ. რობაქიძეს კარგად ვიცნობდით, ნიკო დაესწრო მის დაკრძალვას, ბევრს ფიქრობდა იმაზე, თუ რა გზით მოხვედრილიყო გრ. რობაქიძის არქივი საქართველოში, ხშირად ლაპარაკობდა ქართველ მწერლებზე, ამ სტრიქონებზე კი: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!" (წერილში ბ. პასტერნაკის თარგმანია მოყვანილი. — ხ. შ.) — ხშირად უღჟამს: — უკეთეს ეპიტაფიას საფლავის ქვაზე ვერ ვისურვებდიო.

— ნიკო ხშირად გვწერდა, — ამბობს თამარ ჩხოტუა, — ყველა დღესასწაულს გვილოცავდა მეც და ჩემს ვაჟსაც დათო დუმბაძეს. ერთ წერილში ნიკო მწერდა: „წავიკითხე სარგის ცაიშვილის წერილი დავით ჩხოტუაზე, ძალიან საინტერესოა. თუ ძნელი არ არის, იქნებ მიშოვო შალვა დადიანის წიგნი. ვიცი, რომ მისი ერთ-ერთი გმირის ვამეხის პროტოტიპი დავითია, ეს ყველამ იცის, გერონტი ქიქოძე თავის რჩეულ თხზულებებში — ტომი 1, თბილისი, 1963, გვ. 320, — წერს ამ წიგნზე და დავით ჩხოტუაზეც. მახსოვს, დავით ჩხოტუამ (მანჩა ბიძამ) როგორ დაურიგა მიწები თავის გლეხებს და განდეგილივით ცხოვრობდა".—მე ახე კარგად არ ვიცოდი ეს ამბავი, — გვეუბნება თამარი, — ნიკოს ამ წერილიდან გავიგე კარგად, ვისაც გულისხმობდა „გვირგვილიანების ოჯახში" შალვა დადიანი.

— ჟენევაში სასწავლებლად წავიდა და ვეღარ ჩამოვიდა. იწერებოდა, მაგრამ იმ წლებში დედაც კი ვერ მისწერდა წერილს. მერე კი, როცა მიწერ-მოწერა აღდგა,— ამბობს მარინა ჭყონია, — მამაჩემმა გაუგზავნა წერილი და იმის მერე ვწერდით ბიძაჩემს. მამაჩემი და ნიკო (ასე ვეძახდით) ნიკის მამამ შალვა ჭყონიამ გაზარდა, რადგან მამაჩემი სამი წლის დაობლდა. ნიკის დედის, პელაგოს, გარდაცვალების მერე შალვამ ელენე დადიანი შეირთო. მამაჩემთან ერთად ელენე, უკვე ხანდაზმულიც, ხშირად დადიოდა და უვლიდა შალვას პირველი ცოლისა და შვილის საფლავებს ვერაზე. ხშირად რეკავდა; მახსოვს, ირაკლი ბაგრატიონის გარდაცვალების მერე რომ დარეკა, ხმაში ტირილი ერეოდა: აქაურ ქართველთაგან ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მეგობარი დავკარგეო.

1978 წლის იანვარში ლოზანადან გამოგზავნილი ოლგა ფონ დენის წერილიდან: „გარდაიცვალა ირაკლი ბაგრატიონი, ნიკოს უახლოესი მეგობარი; ამ ზაფხულს ირაკლი ბაგრატიონმა თავის 92 წლის დედასთან ერთად ექვსი კვირა გაატარა ნიკის აგარაკზე ბიარიცში და მით უფრო მძიმე იყო მისთვის ეს ამბავი. ნიკო მადრიდში გაფრინდა დაკრძალვაზე".

ნიკოლოზ ჩხოტუა მეგობრობდა ფრანკოსთან, ხუან კარლოსის დებთან. მისი ვაჟი ზურაბი და ხუან კარლოსი ერთად სწავლობდნენ და ახლაც მეგობრები არიან. სურათი, რომელზეც ზურაბი მეუღლესთან და ვაჟიშვილთანაა, ბიჭის პირველი ზიარების დღესაა გადაღებული. ბავშვი უსაზღვროდ გახარებულია. ის დღე ზეიმით აღნიშნეს სტუმრებთან ერთად. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით ხუან კარლოსმა მას მანქანა აჩუქა.



ოლგა ფონ დენი, ვინც ზურაბის ცოლთან, მარიეტასთან ერთად ჩამოვიდა და დაფერფლილი გული ჩამოიტანა თბილისში, ოჯახის მეგობარია, იგი ახალგაზრდობიდან იცნობდა ნ. ჩხოტუას, მის მიწერ-მოწერის საქმეს უძღვებოდა.

— როცა დარეკა და გაიგო, რომ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდება წერილი, — ამბობს მარინა, — აღელვებულმა მითხრა: მას ბოლომდე უყვარდა საქართველო, უსაზღვროდ უყვარდა და ამ სიყვარულით მოკვდაო. ოლგა ფონ დენიც შეძრული იყო 9 აპრილის ამბით, ძრწოლით და შიშით უყურებდა თურმე ფილმს, იმისიც ეშინოდა, ვინმე არ ეცნო....

ერთ ფოტოზე ნ. ჩხოტუა მეუღლესთან, კეროლ ჰაუარდ მარმონთან ერთად არის. კეროლი — ამერიკელი მსახიობი და მემოდელე, რუზველტის ერთ-ერთი სამხედრო მრჩევლის ქალიშვილი იყო. ექვსივე შვილს ქართული სახელები დაარქვეს: ზურაბი, თამარი, ნინო, შალვა, მარინე, დიმიტრი. შესანიშნავი და-ძმობა აქვთ, უფროსი — ზურაბი, ყველას მხარში უდგას; თუ საჭიროა — დღეს ერთთან არის, საფრანგეთში, ხვალ შტატებში ან შვეიცარიაში, ყველაზე ამაგი აქვს.

ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და ვატიკანის აკადემიის დამთავრების შემდეგ, როგორც ითქვა, ნიკოლოზ ჩხოტუა მალტის ორდენის წევრი გახდა. ცნობილია ამ ორდენის საქველმოქმედო მოღვაწეობა; ბევრ ქვეყანას გაუწია შემწეობა და დახმარება, დიდი წვლილი გაიღო ანტიფაშისტურ მოძრაობაში.

60-იანი წლების ჟურნალ „მოსკვაში" დაიბეჭდა ომის წლებში მექსიკაში ელჩად მყოფი ლ. ტარასოვის მემუარები სათაურით „მონტესუმას მიწაზე". ავტორი ლაპარაკობს ემიგრაციაში წასულთა ხვედრზე, იმათზე, ვისაც იქ შეხვდა და გაიცნო. ერთი აბზაცი ნიკოლოზ ჩხოტუაზეა. ეს იყო მეტად საინტერესო პიროვნება, — წერს ავტორი, — კარგად იცოდა ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება. ჰქონდა არაჩვეულებრივად მდიდარი ბიბლიოთეკა, გამოსცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის ემიგრაციაში წასულ ქართველებზე...

ომის წლებში ნ. ჩხოტუა საბჭოთა კავშირის დახმარების საზოგადოების წევრი იყო, რამდენჯერმე გაიღო დიდი თანხა ამ საზოგადოების ფონდისათვის.

თბილისში, სიონის ტაძარში გადაუხადეს პანაშვიდი; მარიეტამ, ზურაბის ცოლმა, ვინც ოლგა ფონ დენთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და ძალიან უყვარდა თურმე მამამთილს, ყველა ხატთან დაიჩოქა და მხურვალედ ლოცულობდაო.

ცნობილია ნიკოლოზ ჩხოტუას წერილები ქართველ მწერლებზე. ზემოთ ვახსენეთ ერთი წერილი, რომლის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ზეპირად ახსოვდა გერონტი ქიქოძის წიგნის გამოცემის წელი და გვერდიც კი. სამშობლოზე დარდს ამითაც იქარვებდა, — ყველაფერი ახსოვდა. ხვდებოდა უცხოეთში ჩასულ ქართველებს, აუცილებლად უნდა ენახა ქართული ხელოვნების გამოფენა, ქართული ფეხბურთის თამაშსაც დასწრებოდა და როცა შემთხვევა ეძლეოდა, ქართული ცეკვისთვისაც ეცქირა.

გულით ყოველთვის საქართველოში იყო.

ეჰვიც არ გვეპარება, ეს ამბავი თავის დროზე რომ გამომზეურებულიყო, ქართველი საზოგადოებრიობა გულთან ახლო მიიტანდა, საქართველოში ჩამოვიდოდა ბატონი ზურაბი ოჯახით, ძმებით, თავისი დებით, ძმისშვილებით და დისშვილებით, ოჯახის მეგობრებით და ხალხთან ერთად მიაბარებდა წესისამებრ მამის გულს ქართულ მიწას; რაღა თქმა უნდა, ჩამოვა მისი შთამომავლობა თბილისში და ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად მოინახულებს იმ ადგილს, სადაც ნიკოლოზ ჩხოტუას ფერფლად ქცეული გული ეგულებათ.

რომანტიკული ბუნებისა იყო და ბოლომდე ასეთი დარჩა. წიგნს— „სამარადისო", რომელიც სამჯერ გამოიცა კალვერ სიტიში, იგი დედის ხსოვნას უძღვნის. ერთ-ერთ თავში წერს: „ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, შვეიცარიაში წასვლა რომ დავაპირე. წასვლის წინ ბაბუაჩემმა მითხრა: ეს შენი სამშობლოა. როცა მზად იქნები იმისათვის, რომ დაბრუნდე, ის ყოველთვის დაგელოდება — სულ ერთია, გინდა ექვსი თვე გავიდეს და გინდა ექვსასი წელიწადი; არ იჩქარო. კარგად შეხედე ქვეყნიერებას, მინდა დარწმუნდე, რომ შენს ქვეყანაზე უმშვენიერესი ადგილი მთელს დედამიწის ზურგზე არ არისო.

ბაბუაჩემი მართალი იყო".

**ხათუნა შატბერაშვილი**



სურათებზე: ნიკოლოზ ჩხოტუა; ნ. ჩხოტუა მეუღლესთან და შვილებთან; ზურაბ ჩხოტუა მეუღლესთან და ვაჟიშვილთან.

ქაღალდის დეფიციტის გამო „ლიტერატურული საქართველოს" დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.


რედაქტორთა საბჭო.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი)

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ბუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89

პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10

განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-93-65.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.

მასალებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.